140
97



# პიონერი

8

1971

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქარში ხარ, ჯანავო!



# პიონერი

8
აგვისტო
1971

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური სასურათო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის
გამომცემლობა




ყურადღებით უსმენენ პიონერები კაპიტან ვახტანგ გოლოკაძეს.

გზამ მკვეთრად მიუხვია, შეღმართს შეჰყვა და, თითქოს ვინმემ საგანგებოდ დამალაო, მუხნარიდან კოპწიად ჩამწკრივებული კოტეჯები „გამოხტნენ“; ერთი, ორი, ათი... დიდ-პატარა თეთრად შეფეთქილი სახლები. მწვანედ მოხასხასე ტყის ფონზე წითლად ელავს წარწერა: „მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების სურამის პიონერთა ბანაკი“.

ეზოში დიდი ყრიამულია: გარბი-გამორბიან, ფაციფუცობენ, დახტიან, დარბიან ბავშვები... აგერ, ფეხბურთი გაუჩაღებიათ, წამდაუწუმ გაისმის მსაჯის სასტვენის ხმა; შენობის წინ სამი, მწვანედ შეღებილი „პინგ-პონგის“ მაგიდა დგას, ბზრიალ-ტრიალებს, კაკა-კუკი გააქვს თეთრ ბურთს; ზემოთ, შევაკებაზე, ფრენბურთელების ყიჟილ-ხივილი იკლებს არემარეს.

ჩეროში გამართულ გრძელ მაგიდას ოცამდე პიონერი შემოსხდომია. ბავშვებს უკვე ოცი დღე გაუტარებიათ ბანაკში. მალე პირველი ნაკადიც მთავრდება და ბევრი ალბათ გამოემშვიდობება აქაურობას. აქ თავი შეუყრიათ მეორე რაზმელებს და ბჭობენ, როგორ მოემზადნენ ბანაკის საზეიმო დახურვისათვის, როგორ შეხვდნენ ახალ დამსვენებლებს, ჰყვებიან გარდასულ დღეთა ამბებს, ვის რა დაამახსოვრდა უფრო მეტად, ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს, მისამართებს უცვლიან ერთმანეთს...

ბანაკის დასათვალიერებლად და პიონერული ცხოვრების გასაცნობად ჩამოსული სტუმარი უკეთესს აბა რას ინატრებს და, ჩვენც სიამოვნებით მივუგდეთ ყური მათს საუბარს.

მაგიდის თავში მზით სახეგარუჯული მაღალი გოგონა წამოდგა:

— ეს დარეჯან გოგიბერიძეა, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, — გვიხსნის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

— თუმცა ბევრი საინტერესო დღე

საყვირმა გააღვიძა ბანაკი. ვინ უფრო მალე მოიწყობა ხაზზე?!

ამ ყოჩაღი ბიჭების დახმარებით, კალატოზები მალე აღმართავენ ახალ სასადილო კორპუსს.



**გულშემატკივრებმა დროულად დაიკავეს ადგილები. მალე დაიწყება ფეხბურთის მატჩი მეზობელ ბანაკთან.**

გავატარე ბანაკში, — ჰყვება დარეჯანი, — მაგრამ გუშინწინდელი დღე არასოდეს დამავიწყდება. გადავწყვიტეთ პირველ რაზმთან შეჯიბრი — თამაში — „ომობანა" გაგვემართა. ჯერ კენჭი ვყარეთ, ვის უნდა ეძებნა და ვინ — დამალულიყო. ჩემი რაზმი ტყეში წავიყვანე. ადრიანი დილა იყო, ხშირ ტევრში ნისლი ჯერ არ გაცრეცილიყო და ხშირ ფოთლოვან ხეებში მზეს ვერ შემოეღწია. ბილიკ-ბილიკ მივდიოდით. ბანაკიდან ათიოდე კილომეტრზე ერთ კლდეს შევაფარეთ თავი. ტოტებით, ბალახბულახით და ხავსით შევინიღბეთ. ისე დავიმალეთ რომ ბავშვები ოხუნჯობდნენ: ახლა მეძებარი ძაღლიც კი ვერ გვიპოვნისო. ვიცოდით, „მტერი" უეჭველად მიუვალ ადგილებში დაგვიწყებდა ძებნას. ოინი ვიხმარეთ და ღელის პირას, გზასთან შორიახლოს დავიმალეთ. გასუდრულები ვიჯექით. ხმას არ ვიღებდით და სიცილმოწყურებულნი ვიგუდებოდით. სწორედ ამ დროს პირველი რაზმის მზვერავებმა ჩაგვიარეს წინ. ფრთხილად მოდიოდნენ — მივეპარებითო. ზედ ჩვენს ცხვირ წინ, ერთი მაღალი ხის ძირას მეთვალყურეები დატოვეს და ღელეს შეჰყვნენ. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ მარტო დარჩენილი გუშაგები შეშინდნენ და თავქვე დაეშვნენ. როცა „მტრის ლაშქარმა" წინ ჩაგვიქროლა და თვალს მიეფარა, ჯგუფ-ჯგუფად გავედით სახუნდარიდან და ფრთხილად დავეშვით ბანაკისაკენ. დავიკავეთ „მტრის" მიტოვებული „სიმაგრე." მოშუადღევებული იყო, როცა რაზმი უკლებლივ დაბრუნდა ბანაკში. ერთი საათის შემდეგ კი დაქანცული მზვერავებიც დაბრუნდნენ, კანტიკუნტად მოდიოდნენ პირში ჩალაგამოვლებულნი. ჩვენ უკვე ბანაკში ვიყავით და ტყეში რას გვიპოვნიდნენ!

ჩვენს გვერდით პატარა თვალებბრიალა გოგონა წამოდგა, ყელსახვევი ეკეთა, მაგრამ, წითელი კი არა, ზღვასავით ლურჯი ყელსახვევი. გამიკვირდა, ამდენ ალისფერყელსახვევიან გოგო-ბიჭებში ასეთი საიდან გაჩნდა-მეთქი.

— იმ დღეს მორიგე ვიყავი. საღამო ხანს ბანაკის ჭიშკართან, — დაიწყო გოგონამ, — მოულოდნელად, ჯარისკაცებივით ერთნაირად გამოწკეპილი ოციოდე ახალგაზრდა მოადგა ბანაკს.

— ნაბრძანები მაქვს, უნებართვოდ ბანაკის ტერიტორიაზე არავინ შევუშვა! — მაგრად დავუხვდი უცნობებს.

ისინი თურმე უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები ყოფილან. ბორჯომიდან გვესტუმრნენ, ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი დაეთვალიერებინათ. ბანაკში სახელდახელო მიტინგი გაიმართა. უცხოელმა ახალგაზრდებმა ბევრი რამ გვიამბეს იქაური ბავშვების ცხოვრებაზე და ბოლოს, საჩუქრებიც ჩამოგვირიგეს, მე და იოჰანმა ყელსახვევები გავუცვალეთ ერთმანეთს. მან ჩემი მისამართი ჩაიწერა, წერილს მოგწეროო: ქალაქი, რუსთავი, მე-2 საშუალო სკოლა, მერი ოქრომჭედლიშვილი.

უცხოელებთან შეხვედრაც კარგი იყო, ტყეში თამაშიც, მაგრამ პირადად მე კოლმეურნეებთან გატარებული დღე ყველაზე მეტად დამამახსოვრდა — ამბობს ლია ბაქრაძე — ჩემს სოფელშიც ხშირად ვეხმარები ხოლმე კოლმეურნეებს, როცა ბებიასთან სტუმრად ჩავდივარ. მაინტერესებდა როგორი ხეხილის ბაღები, ბოსტნები იყო აქ. ჩვენი რაზმი საერთო შრომაში ჩაერთო და კარგა ხანს ვმარგლიდით ბოსტანს. აბა, გული როგორ გაგვიძლებდა, ჭარმაგ გლეხებს გვერდში რომ არ ამოვდგომოდით. სიმინდი სულაც არ მომეწონა, ჩვენსკენ, ფონიჭალისა და გარდაბნის ველებზე უკეთესი იცის. ხეხილი კი, იცოცხლეთ, მოვლილი და ნაყოფით დახუნძლული იყო. მერე კოლმეურნეები ბალით და თუთით გაგვიმასპინძლდნენ. ასე იცის ჩემმა ბებიამაც, ნადს რომ მოიწვევს, მუდამ უმასპინძლდებათ ხოლმე.

— ყველაზე მეტად ის დღე მახსოვს, — აღარ აცალა სიტყვის დამთავრება მეგობარს დათო სულხანიშვილმა, — ჩვენს აუზში ნეპტუნის დღესასწაული რომ გავმართეთ. სურამში ბევრი პიონერთა ბანაკია, მაგრამ აუზი მარტო ჩვენა გვაქვს. ამ ოც დღეში, ცურვაშიც კარგად გავიწაფე და, წყალში რომ გადამაგდეს, დელფინივით ამოვიყურყუმალე. ყველაფერი უჩვეულო და საინტერესო იყო იმ დღეს ჩემთვის. ასეთი რამ ეკრანზეც მინახავს და წიგნშიაც წამიკითხავს, მაგრამ აქ მაინც სულ სხვა იყო. ამ თამაშ-დღესასწაულს ეშხი და ლაზათი შემატა ნამდვილმა ნეპტუნმა. თადარიგის მეორე რანგის კაპიტანმა, ვ. ბოლოკაძემ. უჰ, შენი გულისა, როგორ უხდებოდა ნეპტუნის მორთულობა! თუმცა, არც საზღვაო ოფიცრის ფორმაში იყო ნაკლები შესახედავი. ძია ვახტანგმა ბევრი რამ გვიამბო სამამულო ომში გადატანილ ბრძოლებზე, მეზღვაურთა ცხოვრებაზე; შემდეგ შინ, თავისთან მიგვიპატიჟა. რომ გავიზრდები, აუცილებლად საზღვაოსნო სკოლაში შევალ. გემზე ვიმსახურებ, მეზღვაური ვიქნები. მოვივლი მსოფლიოს, ზღვებსა და ოკეანეებს, ავისრულებ ჩემს ოცნებას — დედამიწას შემოვუვლი ირგვლივ. ძია ვატხანგმა მეზღვაურთა ცხოვრებაზე დაწერილი საინტერესო წიგნები გვათხოვა და, შინ რომ დავბრუნდები თანაკლასელებს ვუამბობ ყველაფერს.

— საყვირის ხმამ გათენება გვამცნო. ჯერ კიდევ ბინდი იდგა, ნისლმოდებულ აღმოსავლეთის კალთებზე, — ჩამოართვა სიტყვა დავითს ჯულიეტა აბუთიძემ, — დასავლეთით, ტყის დაკბილულ ჰორიზონტზე ოდნავ გაცრეცილიყო ბურუსი. ილვიძებდა, სალაშქროდ ემზადებოდა

ბანაკი. ბევრნი იმ დღეს პირველად მივდიოდით ტურისტულ ლაშქრობაში. რუსთავ-ქალაქში გაზრდილი ბავშვების უმეტესობას ჯერ ტყის ბილიკზე არ დაგვედგა ფეხი. ასამდე პიონერი გავუდექით გზას. ჯერ თამაშ-თამაშით მივდიოდით, აღმართზე იოლად ვმართავდით მუხლს, თავქვეზე ხომ სულ სირბილ-სირბილ ჩავდიოდით. აჰა, გათავდა შარა, სადღაც ეზოში შეუხვია შუკამ, ყანებზე გავედით, ტყისპირა ბუჩქნარითაც ვიარეთ. მალე სურამის ქედის ტევრში შევერიეთ. გაგვიძნელდა სიარული ნადირის ფეხით მოლამბულ ბილიკზე, ნამით გალუმპული რცხილისა და მუხის ტოტები გვცემდა სახეში. აქამდე, რომ გეკითხათ, გეტყოდით — ლაშქრობას რა უნდა, ადექი და იარე-მეთქი, მაგრამ მართლა ასე როდი ყოფილა! თურმე სიარულსაც ცოდნა სდომებია. სალაშქრო მზადებისას, აურზაურში ზოგს ყველაფერი ზურგზე აუკიდნია — გამომადგებაო, ზოგს აუცილებელიც დავიწყნოდა. დაგვიმძიმდა ტვირთი, შეიქნა ვაი-ვიში, ეს რაღ წამოვიღე და ეს რაღაო! მე ბუშტები დამასხდა ფეხებზე, ზურგჩანთა ველარ ვზიდე და წამდაუწუმ ვფორხილობდი. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ზურაბი, მანამდე ალმაცერად რომ ვუცქეროდი და ცუღლუტი და მეტიჩარა მეგონა, პირველი მოვიდა ჩემს დასახმარებლად და ზურგჩანთა ჩამომართვა. ერთხელაც არ ჩაუმუხლავს, ისე აირბინა მთის კალთა, მერმე ჩამობრუნდა, სადღაც კორძებიანი მუჯრა ჯოხი გამოეძებნა და ის შემომაგება, დაიბჯგეო. გავმართეთ კარვები, გამოვთალეთ ჯოჯგინები, ზედ სარი გავდეთ, კარდალა ჩამოვკიდეთ და წყალი ავადუღეთ. შემდეგ ტოტებისაგან, სასადილოსათვის ბუნულიც გავმართეთ. რა მშვენიერია ტყე! რა საინტერესო და მიმზიდველია, როცა შენი ხელით აკეთებ ყველაფერს. როგორც კი შინ ჩავალ, ტურისტულ სადგურში ჩავეწერები და ფეხდაფეხ მოვივლი მთა-ბარს.

— მართლაც კარგი იყო ლაშქრობა, — ჩაერია საუბარში მანანა შეროზია, — მაგრამ ხე რომ დავრგე, მე ის დამამახსოვრდება სამუდამოდ. რა საოცარი გრძნობა გეუფლება როცა ნორჩ მცენარეს ფესვს გაუმაგრებ და მერე წყლით მორწყავ! ამას წინათ „პიონერში“ ერთი მოთხრობა წავიკითხე, დიდი ხნის წინათ ვ. ი. ლენინს ერთი უმოწყალოდ გაჩორკნილი ნორჩი ნერგი დაურგავს და გაუხარებია. ახლა ის ნერგი უზარმაზარი ხეა თურმე, წლები რომ გავა და დიდი გავიზრდები, ვეწვევი ამ ბანაკს, აქ მაშინ სხვა პიონერები იქნებიან, სულ სხვა ბავშვები. ვნახავ ჩემს დარგულ ჭადარს და ვეტყვი ბავშვებს: „აი, ეს ხე მე დავრგე აქ 1971 წლის ზაფხულს-მეთქი“. იგი დიდი იქნება, ძალიან დიდი, მაგრამ მე პატარასავით მოვეალერსები, მოვეფერები ჩემს დარგულ ჭადარს.



სადურგლო სახელოსნო გია ჯაბუასა და ფედია მარკოვის საყვარელი დასასვენებელი ადგილია.



„ომობანას“ თამაშში დაზარალებული. „დაჭრილი მებრძოლი“ ზურაბ ჯლარკავა, „სანიტრები“ იზოლდა ჯლარკავა და ლეილა ელიაშვილი.



ერთხელ ბიოლოგიის მასწავლებელმა გვითხრა: დიდ გასაჭირშიაო დედამიწა, რადგან მცენარეები ვეღარ ასწრებენ მანქანების მიერ გამობოლქვილ, გაჭუჭყიანებული ჰაერის გადამუშავებას და იწამლება დედამიწაზე ჰაერიო. გადაწყვეტილი მაქვს, ვითავო და ჩვენი სკოლის პიონერებს კიდევ დავარგვევინო და გავახარებინო ხეები.

•

— მე ცეკვა ვისწავლე.

— მე ჭადრაკის თამაშში გავიწაფე, ბანაკის ჩემპიონი გავხდი.

— მე ახალი მეგობრები შევიძინე.

— მე ჭრა-კერვაში დავვოსტატდი.

— მე... ჰმ, საშემოდგომოდ ფიზიკა მქონდა დარჩენილი და ის მოვამზადე.

— ამდენ თავისუფალ დროს სად ვიშოვნიდი, მთლად გადავიკითხე ჟიულ ვერნი.

•

დიდხანს, დიდხანს ისმოდა მუხების ჩრდილში მხიარული და საინტერესო საუბარი. გაცხოველებით ლაპარაკობდნენ პიონერები ბანაკში გატარებული დღეების შესახებ და ეტყობოდათ თუ რაოდენ კმაყოფილნი იყვნენ, ამ დიდებულ ზეგანზე შეფენილი ბანაკისა.

ბავშვები ხშირად ახსენებდნენ ბანაკის დირექტორს პატივცემულ კოტე ჯოლიას და ბანაკის დიდ მოამაგეს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორს ოთარ სულაძეს. მადლობას გამოთქვამდნენ ყველაფრისთვის, რაც მათ ბავშვებისათვის გააკეთეს. ამ გულწრფელ სიტყვებს ჩვენი გულთბილი მადლობაც უერთდებოდა.

**ზურაბ ლეშკაშელი.**

ფოტო ანზორ ჩიგოგიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბორის ძნელაძის დაბადების 70 წლისთავი

საბჭოთა საქართველომ ნახევარსაუკუნოვანი იუბილე იზეიმა. რესპუბლიკის ახალგაზრდობა, ჩვენი სახელოვანი ჭაბუკები და ქალიშვილები ამ საზეიმო დღეებში მოწიწებით და სიყვარულით იგონებენ იმ ადამიანებს, ვინც თავიანთი სიცოცხლე საქართველოს კომკავშირის შექმნას მოახმარა.

საქართველომ რევოლუციის საქმისათვის თავდადებული ბევრი მებრძოლი აღზარდა, მათ შორისაა ამიერკავკასიის ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე ბორის ძნელაძე. ბორისმა ხანმოკლე, მაგრამ ნათელი და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კომუნისტური ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციის შექმნას, მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებას შესწირა.

ბორის ძნელაძე იყო უღრესად სპეტაკი და პრინციპული ადამიანი. მან არ იცოდა რა იყო შიში, დაღლა, ყველგან და ყოველთვის ასრულებდა პარტიის ყოველგვარ დავალებას.

იგი 1901 წელს დაიბადა ქ. გორში, ოზურგეთის რაიონიდან გადმოსული გლეხკაცის ოჯახში. ბორისმა ძალიან ცოტა ხანს იცოცხლა. მისი ცხოვრება 22 წლის ასაკში დაიფერფლა ქართველი ხალხის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში. მან სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი საქართველოს ახალგაზრდობის გმირულ და სახელოვან ისტორიაში.

* * *

ცნობილმა პოეტმა მირზა გელოვანმა აღფრთოვანებული, ლირიკული სტრიქონები მიუძღვნა ბ. ძნელაძეს. ეს მაღალი ოსტატობით დაწერილი ბალადა კომკავშირელი პოეტის მიერ კომკავშირისადმი მიძღვნილი თავისებური ჰიმნია.

მირზა გელოვანი სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა სრულიად ახალგაზრდა. იგი შეეწირა იმ საქმის დაცვას, რომლისთვისაც სიცოცხლე არ დაზოგა ბ. ძნელაძემ და ათასობით მისმა თანამებრძოლმა.



# შავნაბადა

### მირზა გელოვანი

## 1.

მთებს გაუჩნდათ თეთრი ჯიღა,
თეთრი ღამით დანაფარი, —
ნისლი გდია ერთი მჯიღა
თუ ლამაზის სარაფანი?
აქ ჩურჩული ძალზე ნელი
ყოველღამე თურმე ისმის,
გამოძვრება მერე გველი,
იღებს ხვითოს, ცაში ისვრის,
ისვრის ცაში, მაგრამ კაცი
გზას გადასჭრის ეგზომ მკაცრი.
ერთი ხელი გრძელი არის
და გველი წვრილწელიანი, —
მკლავს ეხვევა. მკლავი ხვითოს
ეტანება გველისდარად.
კაცი ზმუის, გველიც თითქოს
ცას შესწივის შესაზარად,
და დილამდის გასტანს ქრქოლად
გველისა და კაცის ბრძოლა.

ჰა, საყდარი, ჰა, ხეები,
ერთურთს დატოლებულები.
გალმით ჩანან ციხეები,
რუხად აბოლებულები.
აქ მოვიდნენ გოგონები
და ატირდნენ მოგონებით,
ერთზედ შეყვარებულები.

გალავანი ასწლიანი
უკერიათ თერძებს, —
გდია ლოდი ხავსიანი
და შენდობას ეძებს.
აგერ მტკვარიც, ძველისძველი,
უკვე ნაპირს გასცდა. .
გულს ეყოფა ასი წელი
ამ ერთი დღის განცდა.
და თქვენც, მთებო, რუხო მთებო,
კავკასიის დებო,
ნიავი ქრის, ლამაზებო,
ნანა, ჩემო მთებო...

მერე დასხდნენ საყდრის გვერდით,
გამოეყო ტოლებს ერთი —
ხელვა ოდნავ ალმაცერი.
დობილის მკერდს უღუტუნა,
დაისველა თეთრი ცერი
და დაიწყო ცუღლუტურად:
— „ალხო, მალხო,
ჩიტმა გნახოს,
შენი ფეხი —
ფეხმანდუკი.
აბდა-უბდა —
გადასკუპდა.
ჰგევხარ ქაჯებს,
მეფევ, ჩაჯექ.
სკუპ“. —
მაგრამ ქალმა, ქალაშავამ,
ღამდებაო, წრე ჩაშალა.
ფურჩისვივით წამოფრინდა,
აიყოლა სხვა ქალებიც.
ერთი დარჩა...
დაიბნიდა,
დარჩა ოდნავ ნამკრთალევი —
და გაუწვა ღამის ზეფირს
გაღეღილი საკინძეთი.

— მეგობარო, ზეცის ტატნობს
აუტირდა მიკიოტი,
რისთვის დარჩი ასე მარტო,
ვითომ სახლში მიდიოდი?
გოგო, უკვე დედა გელის,
გზას გასცქერის დედაბერი.
დაბნეულდა და როგორაო —
სახლში წადი, გოგონაო.

ძველი იფნი ჭრიალებდა,
მკლავმსხვილა და ტანხატულა,
ქარმა ნისლი თრიალეთთან
კურდღელივით აახტუნა.
და გრიგალი ნისლის ციხეს,
ხან ლურჯსა და ზოგჯერ ქერას,
ხერთვისიდან წამოიღებს
ვაზიანში დასაფენად.
წამოიღებს, არ ასვენებს,
ზოგჯერ გეზი აერევა,
ასჯერ მაინც ააშენებს,
ასმეორედ დაენგრევა.

მთვარე მოდის, ის კი დარდობს
და დიდებაც დაიჯერა.
იგი ას გულს გადაადნობს
ერთი გულის მოსარჩენად.

---

იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოხვეტავს ბამბის ფთილებს,
ალაგ-ალაგ დაფენს ჩრდილებს,
მერე მთვარე, ცივი მთვარე
ღრუბლის ნაბადს მოიფარებს,
და ველს ზემოთ მუქი ხენი
მოტირალად შექუჩდება,
ღამე ფშვინავს გულოხერი,
მერე ღამეც გაყუჩდება,
არც ნიავი აჩქარდება,
არც მდინარე აჩქამდება.
და ლოდებზე ცოტა დაბლა,
ნაბადმოხდილ ყაჩაღებთან, —
სიჩუმე და შიშის ზაფრა
ხანძარივით გაჩაღდება.
გადაუვლის მწყემსის თეოს,
ბუ რომ კივის ღამის ფერა:
— ვერ იპოვნე, თევდორეო? —
— ვერა... ვერა.

გოგომ ქვევით გაიხედა,
მოჰყვებოდა ბიჭი ბილიკს,
ზოგჯერ ჩრდილი ჩაიხვევდა
ნაბიჯს დინჯს და ოდნავ ირიბს.
უცებ იცნო, უცხო იყო,
ტანზე ჩოხა როდი ეცვა,
(მერე სხვებიც ამოვიდნენ
და შეგროვდნენ ხესთან, ვიდრე
მთამაც ნისლი აიკეცა).

მოცისფერო ჩრდილებს შლიდა
მოქანავე ვერცხლის ფარი,
ქარს მოჰქონდა შიგდაშიგა
მეგობართა ნაუბარი.
საუბრობდა მხოლოდ ერთი,
და სიტყვები ასე მკვეთრი
შავ ღამეში ზუზუნებდა,
და ჩუმ მეგობართა შორის
ვინმე ჩაიჩურჩულებდა:
— მართალია, ბორის!..
— მართალია! — ღამე ჩუმი
იმეორებს ქართან ერთად.
— მართალია! — და ჩურჩული
დაამოწმებს გულის ფეთქვას,
როცა წმინდა გრძნობით ნაქსოვს
იშველიებს კობას აზრებს.
— რატომ ცოდნა არა მაქვსო, —
გოგოს ნატვრა გააბრაზებს.
და როდესაც ფრთხილმა თვალმა
ამხანაგთა დაშლა ბრძანა,
გოგო თუმცა ლოდთან დარჩა,
გული ლოდთან არ დამრჩალა.
...ჯერ კი იდგა, როგორც სევდა,
მიწასა და ღრუბლებს შორის,
მერე ბილიკს ჩასდევდა და
ჩურჩულებდა:
— ბორის!..

სახლში იწვნენ,
დაწვა ისიც —
ძილი სადღა გაპარულა?!
სადღაც ზარის რეკვა ისმის,
მიწა ოხრავს დაფარულად,
ოხრავს მერე, როგორაო,
დაიძინე, გოგონაო.

გამოცურდა მთვარე — გუნდა
გული დაადარდიანა.
დაიძინე, თორემ უნდა
დილით ადგე ადრიანად.
მალე მთვარეც მთებში ჩავა,
დაიძინე, ქალაშავავ.

ან ჩამოდის დაბლა ეგებ,
შუქი ფანჯრებს ისე ათოვს.
უძილობას გაგიგებენ,
ბუებს გაუხარდებათო,
ქარმაც ნისლი მოკონაო,
დაიძინე, გოგონაო.

## 2.

წვანან, როგორც კამეჩები,
თითქოს აღარც გული უცემთ,



ბორის ძნელაძე

რაღაც ჩუმი გალენჩებით
იცოხნიან დღეთა ფურცლებს,
მაგრამ, როცა ელვის თვალნი
ქართან ერთად იალებენ,
ღრიალებენ მაშინ მთანი,
ლომებივით ღრიალებენ.
დაიყრიან ყვითელ ფაფარს —
ლოდინი ყეფს საზარ ხმაში,
ღრიალებენ ისე მძაფრად,
ისე მწარედ ყეფენ მაშინ, —
აშლის ღრუბლის სველ ჭილობებს
გამთოშავი ქარის ფრთები.
თითქოს დევნი ქორწილობდნენ,
ღრიალებენ მთვრალი მთები.
და დილით კი, როს ჩრდილები
გაჰყვებიან ღამის ბოდვას —
წვანან ისე მორჩილები,
თითქოს მშვიდად სძინებოდათ;
წვანან, როგორც კამეჩები,
ვიდრე ბინდი მზეს დაბადებს,
ფშვინავენ და გალენჩებით
იცოხნიან განთიადებს.

ვერცხლნარევი ზეცის უბე
დაზნექილა, დაშარულა.
მზე ამოჩნდა, მერე ღრუბელს
სხივი მოსდო ავაშრულად.
მესვეური მკერდშიშველა
მიწას აყრის სხივთა ულოს.
ხევსურული დაშნა ელავს,
თუ მართლა მზე ორლესულობს?
ალაპლაპდა მღვრიე მტკვარი
და იქ, სადაც ქოჩორს იხვევს:
ყვინთავს ციხე, რუხი ციხე,
ამაყი და მაინც მტკნარი.
და ციხეში უმანდილოდ
მოიყვანეს გოგო დილით.

იქ, უფროსთან, ჩუმი დაღლა
წუთით იგრძნო გულის ფეთქვამ.
— „ნუ ჯიუტობ, გოგო, ახლა
სჯობდა ყველაფერი გეთქვა.
ვინ იყავით? პასუხს ველი.
შენს ხელშია შენი ბედი.
გინდა — წახვალ უვნებელი,
გინდა — სიკვდილს შერიგდები“.
— „უი, დედას გეფიცებით:
გალავანის ახლომახლოს,
არავინ არ დამენახოს,
არ გამიწყდნენ კარგი ძმები.
საყდარია, ქვები ყრია,
იქვე ხე დგას ახალგაზრდა,
არავინ არ მინახია,
იმ ხისა და ლოდებს გარდა.
იქნებ კაცისმაგვარ ლანდად
ვინმეს მოეჩვენა რამე,
ქარი იცის შავნაბადამ,
ნისლები და თეთრი ღამე.
საყდარია, ქვები ყრია,
იქვე ხე დგას ახალგაზრდა.
მე არავინ მინახია
იმ ხისა და ლოდებს გარდა.
სხვა რა გითხრათ, სულ ეს ვიცი,
თუნდაც ხატზე დამაფიცოთ“.
— „ქალო, ცრემლი ამაოა,
მხოლოდ თვალი გალურჯდება.
ხვალ უშენოდ მზე ამოვა —
გლუპავს შენი დამუნჯება.
გსურს? — იცოცხლე კიდევ დიდხანს,
ოღონდ კრების რამე გვითხარ!“
მაგრამ ქალი სიტყვის ნაცვლად
დუმდა მკაცრად.

ო, ეს ღამე... ცივ ლოდებთან
მხოლოდ მთვარის ლანდი მოვა,
ჭე გრიგალებს ელოდება
და დუმილის მკაცრი დროა.
შავო ციხევ, ქარნი ქრიან,
მთებს გადალმა შენაბერი.
ნეტავ ლიბო დაგინგრია,
მოკვდეს შენი მშენებელი.
მოკვდეს ბედთან ნაშარები.
ვინც სიშავე დაგიბედა,
ვინც კარი და ფანჯარები

ცივი რკინის დაგიჭედა.
ამ კედლებმა ბევრი დილა,
ბევრი გზები გადაღობა.
ხალხის ცრემლით დანესტილა
შენი ლიბოს ძვალმაგრობა.
გული ვერვინ დაგირბია,
ქვის გული და ლურჯი ქავი,
ბევრი მკლავი დაგილპია,
ჯიშიანი ვაჟის მკლავი.
გაცოცხლდა და ცაში ადის
მათი გულის ხვაშიადი.

და ამაღამ, როცა ლურჯად
ღრუბლებს შუა ელავს ქარი.
როცა მთები გაირუჯა
და შავლეგო გახდა მტკვარი,
როცა მთვარეს სავსე ცურით
მოეწყინა სერზე ჯდომა,
გახდა ისე საცნაური
თმაყვითელი შემოდგომა.
აქ ვინ გაძლოს? თანაც გვიან
ღამე ფშვინავს შენებრ ბნელი.
ნეტავ ლიბო დაგინგრია,
მოკვდეს შენი მშენებელი,
მოკვდეს, იქნებ ცრემლი გვიშლოს
ტანჯულ ხალხის დავალებად.
წაჰყვეს ჩემი ჩუმი ზიზღი,
შენი ჩუმი დანანება.
დაჰკრან ზარი...
გახსნან კარი,
ფოლადისას სტეხდნენ შვილდებს.
შენს კედლებსაც ცეცხლის ქარი,
შენს ლიბოსაც ქარი შლიდეს.

## 3.

სად წასულან მაინც დრონი,
ის დღეები სად წასულან?
ის ღრუბლებიც საავდრონი
გამქრალან და დათარსულან;
შუახანი გადაცვითეს
მაშინდელმა გოგონებმა,
ბევრი ღიმი გაიცრიცა,
დარჩა ბევრი მოგონება.
— დიდება თქვენ, ვინც შიმშილით
გაიარეთ გზა საძნელო,
დიდება თქვენ, კომკავშირის
მილიონო ძნელაძენო!
ქარის შემდეგ მზე მოვიდა,
ყიამეთში თქვენ რომ გეხმოთ.
მოჰყვა გმირთა ხსოვნა წმინდა
და გარდასულ ბრძოლის ექო.
ვინც იბრძოდა, ვინც იწოდა,
ვისაც ხალხი ჩაჰყვა დარდად,
ვინც სხვა სიტყვა არ იცოდა
ერთი სიტყვა „ბრძოლის" გარდა
მათი ხსოვნის ნიშნად შევსვათ,
მათ გაკვალეს გზა საძნელო.
ძმებო, ასწით აზარფეშა,
იყოს გმირთა სადღეგრძელო...

ახლა ქართლი ვიღამ იცნოს?
ჩვენ, ვინც სიკვდილს ნატვრად
ვთვლიდით,
აღარ გვეყო მიწა ვიწრო,
ცას იმიტომ ავუცვივდით.
ამირნობა სდომებიათ,
ლომურად რომ ირჯებიან,
განა მართლა ლომებია?
ჩვენი უბნის ბიჭებია.
მზეს სიშორე არც ენებოს,
ლეგა ღრუბელს ცამ აჯობა,
— გამარჯობათ, არსენებო,
— როსტომებო, გამარჯობათ...
— გამარჯობათ, მეც იქ მივალ,
სადაც თქვენი მიჯნა არი,
ერთი ჩუმი ჯეილი ვარ,
ჩემი ქვეყნის ერთი ლარი.
უფრო მარჯვედ, უფრო მკაცრად
დავდგეთ ჩვენი ქვეყნის კართან.
მთებს გახედეთ! ქვების ნაცვლად
ძვლები ყრია წინაპართა,
მზეს სიშორე არც ენებოს,
ლეგა ღრუბელს ცამ აჯობა.
— გამარჯობათ, არსენებო,
— როსტომებო, გამარჯობათ!..

იქ კი, სადაც კვიპაროსებს
დაუხრიათ წამწამები,
ნაძვი რტოებს იგოროზებს,
გრიგალისგან ნაწამები,
დგას ძეგლი და ქალაქს იქით
გზებსა სინჯავს ცივი მზერა,
ან ქარებში იბრძვის ფიქრით,
ან შორეულ ხანძრებს ზვერავს.



ბორის ძნელაძის ძეგლი
თბილისის კომუნარების პარკში.

და ერთ დილით ბაღში ერთგან
კოლმეურნე ქალი შედგა,
დააყურა ხეთა დუმილს
და, უცნაურ გრძნობით სავსემ,
ძეგლს შეხედა, მერე ჩუმი
ფიქრობდა და იდგა ასე.
იდგა, სიო თმებსა შლიდა,
ტანიც ისე მოტრიალდა,
მხოლოდ წარბი მოიშვილდა,
მხოლოდ თვალი მოწყლიანდა.
გულმაც წუთით იგრძნო სევდა,
ნამდვილი და მაინც შორი,
მერე ქუჩას მისდევდა და
ჩურჩულებდა:
— ბორის!..

ქართლის მიწავ, უტკბილესო,
საყვარელო ქართლის მიწავ,
ჩვენს ცხრათვალა დიად მზეს და
ჩვენს ალისფერ დროშას ვფიცავ!
ამ მწვანე ხეს, ძვლებზე გაზრდილს,
ამ ლოდების ხავსს და ნაჟურს,
კავკასიონს ცამდე აწვდილს,
შავნაბადას, გულდაჟანგულს,
ამ ბუჩქებს და იმ ქერა ნისლს,
დილაობით შენ რომ იცვამ,
დაცემულთა დაქცეულ სისხლს,
დაღუპულთა ხსოვნას ვფიცავ,
ქარსა ვფიცავ, ხეს რომ არხევს,
სანამ ნისლებს შემოახევს
სააკაძის ხმალის ნატეხს,
უკვდავებით ნათლისმარს,
ნარიყალას წარსულ სახეს,
აწ დარჩენილ ლიბოს ვფიცავ!
ვფიცავ სვანის ნათქვამ ლილეს,
ვფიცავ ჩემი ლექსის ნინევს! —
თუ ოდესმე, როგორც ძველად,
ამ ცას ვინმე შეგეცილოს...
წმინდა ვალის მოსახდელად
უყოყმანოდ შეგეწირო.
მოვკვდე ისე ღიმილმჩენი,
ვით კვდებოდნენ გმირნი ძველად,
რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი
დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ.

ჩემო მიწავ!
ლაჟვარდებში
ვინც ქარს შეხვდა გამკლავებით,
ვინც გაღეღილ საგულეში
ჩაიბნია ვარსკვლავები,
ვინც შებორკა მტრების ზრახვა,
ვინც ქმნის მუდამ, — იგი მე ვარ.
მე ბელადმა თვითონ მნახა,
მე ნაომარ არწივს ვგევარ.
შორს სახელი გამივარდა,
შორს წასულან ჩემი ხმები.
მე ოცი წლის გმირი ვარ და
საუკუნე მიმაქვს მხრებით.



გივი ბუთხუზი

მხატვარი
ჯემალ
ლოლუა.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

# ჯავრია

ალექსიმ კედელზე ჩამოკიდებულ თოფს შეხედა და ჩაფიქრდა. მერმე ორად-ორი ვაზნა ჯიბეში ჩაიდო, თოფი მხარზე გადაიკიდა და გარეთ გავიდა. შუა ეზოში მიმოიხედა, რაღაცას დაუწყო თვალიერება და, რომ ვერსად დაინახა, ბოსტანში გადაიხედა.

გაზაფხულის პირი იყო, ბარვისა და თესვის დრო. ქალებს იქაურობა მოეშანდაკებინათ, ნაგავი და ჩალა-ბულა ერთ ადგილზე მიეხვეტნათ, ცეცხლი წაეკიდებინათ და ახლა ნიავს მყრალ კვამლთან ერთად გულისამრევი ნატისუსალიც მოჰქონდა.

— ჯავრი, ჯავრიიი!.. — დაიძახა ალექსიმ და მესერს აღმა შეუყვა.

გადარჩენილი სიმინდის კაჭეჭები, წინდის ნაგლეჯები და ფეხსაცმლის ჯღანები უჟმურად ბოლავდნენ. ცეცხლის ირგვლივ მიწა დატკეპნილი იყო. ეტყობოდა, ბავშვებს ჭიაკოკონის გარშემო კარგახანს ეფუსფუსნათ.

— გურო!

პასუხი საბძლის უკანა მხრიდან მოისმა და გურამიც გამოჩნდა. მას ჯავრია გამოჰყვა, მერე სხვა ბავშვებიც გამოჩოჩქოლდნენ.

— რას აკეთებთ მანდა!

— არაფერსა!

— მაიყვანე ძაღლი!

— გურამმა ჯავრიას რაღაც ჩაულაპარაკა და თავზე ხელი დაადო.

ალექსი სათონეში შებრუნდა. მის დანახვაზე საფანელის ასაზელ ორმოში ჩაბუდებული ქათმები გაფრთხნენ, ნაცრის კორიანტელი დააყენეს. ცოტა ხანს შეიცადა და, როცა მტვერი ჩადგა, თოკი ჩამოხსნა, მერე აკეცა და ისევ ეზოში გავიდა.

ბავშვები იმ ადგილზევე იყვნენ და ძაღლს ეთამაშებოდნენ.

— ვერ გაიგონე, რა გითხარი?! — ეს გურამის მისამართით იყო ნათქვამი.

ყველანი ჯგროდ წამოვიდნენ, თან ძაღლიც წამოიყოლეს. ,,საწყალი ჯავრია! კარგი იყო, მაგრამ დაბერდა და ახლა...‘‘ — გაიფიქრა ალექსიმ და ის დრო გაახსენდა, როცა პატარა ლეკვი მოიყვანა. ერთი ბეწო იყო, ნამცეცა. ჯავრია დაარქვა. ჯავრიამ ტანი რომ აიყარა, ყურები დააჭრა და ბეღლის სვეტზე მიაბა, უფრო ავი გამოვაო. მართლაც, ძალიან ჯამარატი ძაღლი დადგა. მარტო შეხედულებითაც კი ზარავდა გამვლელ-გამომვლელს... მალე ალექსიმ რკინის ჩანგლებიანი საყელური შეაბა და ცხვარში წაიყვანა.

კიდევაც დიდხანს შეინახეს ჯავრია. რა ხანია, საცოდავ პირუტყვს აღარაფრის თავი აღარა აქვს. თვალები დაუპატარავდა და ჩაელია, ხმა ჩაეხლიჩა და ჩაეგუდა, კბილები ერთიანად მოეფშვნა და აღარც ხეირიანად ესმის. ლანდიც აღარ არის იმისა, რაც იყო.

ბავშვები ბოსტნიდან გამოვიდნენ და ალექსის გარს შემოერტყნენ. ჯავრიამ მაშინვე კუდი ააქიცინა და პატრონს ფეხებთან დაუწვა.

ალექსიმ ყელზე თოკი შემოახვია, იშიტად განასკვა, მერმე ძაღლს ფეხი წაჰკრა.

— ადე!

ჯავრია ცახცახით წამოდგა, კუდი ამო-

# დავბრუნდებით



## ნუნუ ლალიძე

<table>
<tr><td>შეწყვეტილა ჟრიამული,<br>სძინავს მერხებს,<br>სძინავს დაფას,<br>ცარცი აღარ დასრიალებს<br>ყმაწვილების ხელში სწრაფად.<br><br>აქ ყოველი დაყურსულა,<br>მოწყენილა სკოლის კარი;<br>„სად წასულან ონავრები?“—<br>გულში ჩუმად ფიქრობს ზარი.<br><br>სკოლას თავზე დასჭიკჭიკებს<br>მერცხლის გუნდი დანაბარებს:<br>„ბანაკებში აღმზრდელთ ხელი<br>თავს გვევლება ჩვენ,<br>პატარებს.</td>
<td>ვით მერცხალმა კოხტა ბუდე,<br>მიგატოვეთ გულისტკენით,<br>რომ კვლავ უფრო<br>ჯანმრთელები<br>დაგიბრუნდეთ ალმაფრენით.<br><br>რა სჯობია ცხელ ზაფხულში<br>ბანაკებში ყოფნას, ხტომას...<br>დავბრუნდებით, მოვიყოლებთ<br>ოქროდქცეულ შემოდგომას.<br><br>სიხარულით, სიყვარულით<br>მოგაშორებთ სევდას მრუმეს,<br>მზის და მთვარის<br>შუქით სავსეს<br>გადაგიშლით კალთას, უბეს.</td></tr>
</table>

იჭუა და თავწაღუნული მეორე ბიჭს დაელოდა.

პატრონმა უკანიდან მოუარა, თოკი მიუშვა და დაუყვირა:

— გადი!

ძაღლი ალექსისა და აჟრიამულებულ ბავშვებს ჭიშკრისკენ ძუნძულით გაუძღვა.

— მამი, სად მიგყავს ჯავრია?

— არსად!

— მაინც?

— რა შენი საქმეა!

გურამი შეჩერდა და მოიღუშა.

ეზოდან გასულ ალექსის ბავშვებიც თან გაჰყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ მამას გურამიც აედევნა. „სად მიჰყავს ნეტა ჯავრია. თუ სანადიროდ მიდის, რატომ წელზე პატრონტაში არ არტყია... ანდა როდის იყო, ჯავრია სანადიროდ წაეყვანოს“, — ფიქრობდა ბიჭი.

სოფლის ბოლოს რომ ჩავიდა, ალექსი მობრუნდა და ბავშვებს მკაცრად უთხრა:

— ახლავე შინ დაბრუნდით ყველანი! ფეხი არავინ არ გადმოადგათ, თორო ის არის კიდეცა!

ბავშვები შეჩერდნენ, მაგრამ ალექსი როგორც კი შორს გაიგულეს, ისევ აედევნენ.

— რა გითხარით! აბა, ახლავე გაბრუნდით!

არც ერთი არ იძვროდა ადგილიდან. იდგნენ გაბუსხულნი და წარბებქვეშიდან უყურებდნენ.

— არ გესმით?.. ერთი ფეხი გადმოგიდგამთ!.. — მუქარით ჩაილაპარაკა და ისევ გზა განაგრძო.

დაღონებული ბიჭები ერთ ხანს მიმავალ ალექსის გასცქეროდნენ, მერე კვლავ აედევნენ.

ალექსის უკან აღარ მოუხედავს, გუმანით კი მიხვდა, რომ კვლავ მისდევდნენ, მაგრამ აღარ მობრუნებულა. „მაინც ვერ მოვიშორებ და, რაც უნდათ ის უქნიათ“, — გუნებაში ჩაილაპარაკა.

თითქოს ძალზე გულმოსულიაო, ისე ჩქარა მიაბიჯებს ალექსი. ჯავრიაც ძუნძულით მიჰყვება. მიჰყვება კი, მაგრამ ვაი ამ მიყოლას! ხვდება ჯავრია, რაც მოელის. ცხრამეტი წელიწადია მას აქეთ, რაც თავი ახსოვს. ამ ხნის მანძილზე ვინ იცის, რაღა არ უნახავს და ახლა რამეს გამოაპარებენ? ალბათ მოკლავს პატრონი. ალბათ კი არა, ნამდვილად და თუ კი ეს ასე არ არის, მაშ რად შეაბა თოკი? სად მიჰყავს?

რომ არ გაჰყვეს და აწკმუტუნდეს? ეჰ, რა აზრი აქვს გაძალიანებას, — თოფს აქვე დაახლის და გაათავებს... ტყუილად რატომ დაილაჩროს თავი!

აფსუს, რა ძაღლი იყო ჯავრია! პატრონის ერთგული და მთელი ფარის იმედი. ზაფხულობით მთაში დაჰყავდათ, ზამთრობით — ყიზლარში. შემოდგომასა და გაზაფხულობით გზაზე იყო გაკრული. პირველ ხანებში ძალიან უჭირდა, სათონის ჭერი და თბილი თეგრი ოცნებად გადაექცა; მაგრამ მალე შეეჩვია თავის ბედს და მერე აღარ ეძნელებოდა ცის ქვეშ დარსა თუ ავდარში, ქარსა თუ თოვლში ღამის ტეხა, ნადირთან თუ ქურდებთან შებმა. მუხლიც კარგად უჭრიდა, თვალიც, კბილიც. გულიც ისეთი ჰქონდა, ცხენიან კაცს არ შეეპუებოდა, აზავთებული ზედ შეახტებოდა და ფიჩხის კონასავით ჩამოიღებდა ძირს. მწყემსებს ძალიან უყვარდათ, დიდ პატივსაც სცემდნენ. ყველაზე მეტ სალაფავს მას აძლევდნენ, სახრავ-საწოწკი ძვლებიც თავზე საყრელად ჰქონდა. მაგრამ წავიდა ის დრო, მდინარის ტალღასავით ჩაიარა.

არა, მაინც რა ძალა ჰქონდა, რა ზავთი! ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუგდებინებია მგლისთვის მოტაცებული თოხლი და ბატკანი. ახლა დათვს რამდენჯერ შებმია! შებმია და კიდეც მოუგერებია. ვინ იცის, რამდენი ამისთანა შემთხვევა ახსოვს, მაგრამ ის ერთი ამბავი მაინც ყველაზე უფრო დაახსომდა.

მაშინ ადრე გაზაფხულდა ყიზლარში. ერთბაშად დათბა. უცებ ამოზიზინდა ავშანი და გაციწვკერა. ნამდვილი ცხვარ-ბატკნის აღდგომა დადგა, მაგრამ წუხდნენ მწყემსები, არ ეჭაშნიკათ ნაადრევი გაზაფხული. როგორც კი ჩამოცხა, აიყარნენ და, თუ რამ ავლა-დიდება გააჩნდათ, ცხენებსა და სახედრებს აჰკიდეს, მშობლიური მთებისაკენ დაიძრნენ.

საღამოს ერთგან დაიდეს ბინა. ხმელა პურით ივახშმეს და ძაღლებსაც ცივი სალაფავით გაუმასპინძლდნენ.

ჯავრია მაშინ რატომღაც კარგ გუნებაზე იყო. ლეკვივით ხტოდა და დარბოდა, უკიდეგანო სიბნელეს ყნოსავდა და მხიარულად ყეფდა. კარგად რომ დახშირბინდდა, ფარას ირგვლივ შემოურბინა, მერე პატრონი მოძებნა და თავთით დაუწვა. მშვიდი და წყნარი ღამე

იყო. ხანდახან ცხენების ტყუპად დაკრული ტორების ბათქუნი და ჯაჭვის ფალვანდების ჩხარუნი თუ დაარღვევდა ტრამალის მყუდროებას. უცებ ჯავრიამ მანამდის უცნობი რაღაც სუნი იკრა, ყურები ცქვიტა და ძალიან ჩუმი, თითქმის ძლივსგასაგონი შრამუნი მოესმა. მყისვე უკანა ფეხებზე წამოყუნცდა და თვალები დააცეცა. ვეება წყეული ნელა მოიზლაზნებოდა. მის დანახვაზე ჯავრია ერთიანად აიჯაგრა, წელში აიწურა, ყოველი ძარღვი და კუნთი სიმივით დაეჭიმა, კბილები დაკრიჭა და ზიზღნარევი ღრენა აღმოხდა.

გველს მაინცდამაინც ხშირად არ ხვდებოდა. შორიდან თუ შეუნიშნავს მხოლოდ, ეგ იყო და ეგ. შეძრწუნებულს მაშინვე გზა აუქცევია და გაშორებია. რატომღაც ზარავდნენ ისინი და ყოველთვის ლაჩრულად გაურბოდა.

ქვეწარმავალი კაცს მიუახლოვდა, ბალახში თავი წადო და გაყუჩდა.

ალექსის ღრმა ძილით ეძინა. პირი დაეფჩინა და არხეინად ხვრინავდა.

ცივმა ქრუანტელმა დაუარა ჯავრიას, ჩახმახივით შეიმართა.

გველმა ალექსის თავთან ახლოს მიკლაკნა გრძელი ტანი, მერე მტკავლის სიმაღლეზე აიყალყა და ცოტა ხანს ეგრე გაჩერდა.

ჯავრია წკიპზეა, აცახცახებული ღრინავს. მარტო ღრინავს, მეტი ვეღარაფერი მოუხერხებია, საკინძგაღეღილი ალექსი კი გაჭიმული წევს და რა იცის, რა საფრთხე ემუქრება.

ქვეწარმავალმა რამდენჯერმე გადმოასავსავა წვრილი და გრძელი ენა, მერე ის იყო მძინარეს უნდა სცემოდა, რომ ჯავრია რაღაც ძალამ ადგილიდან ისარივით გატყორცნა, ელვისებურად დააცხრა, მაშინვე ჩაჯეჯა, სწრაფადვე გააგდო პირიდან და მხოლოდ ამის შემდეგღა მოახერხა დაყეფება.



ალექსის გამოეღვიძა. დაფეთებულმა წამოიწია, ბნელში მიმოიხედა და, რაკი შემაშფოთებელი ვერა შენიშნა რა, ისევ გაეხვია ნაბადში და მიწვა.

სულგაცხებული გველი მეორე დილასღა ნახეს მწყემსებმა. მიხვდნენ ყველაფერს... ალექსიმ ერთი მთელი პური და გაკაღებული ღუმა მიჰკერძა ჯავრიას. თუმცა განა საქმე კერძშია... აი, ხომ მოსაკლავად მიჰყავს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არც ახლა დაიზოგავს თავს ჯავრია. უყვარს, ძალიან უყვარს პატრონი. უყვარს ბავშვები, ყველა უყვარს. ჯერ უმიზეზოდ ხმა არავისთვის გაუცია. მარტო იმას ერჩოდა, ვისაც უსევდნენ. ეგ იყო და ეგ. ალექსი მაინც განსაკუთრებულად შეუყვარდა, რადგან ცხვარში სიყმაწვილეშივე გასულს ტოლივით შეეზარდა. ერთმანეთისთვის არასოდეს უღალატიათ, მაგრამ ახლა...

ძველ ნაწისქვილართან მივიდნენ. დაბლობში კამკამა ფშანი დაგუბებულიყო. ტბორში წყალბალახა ბიბინებდა, ნაპირებზე ჩონჩორიკი, ქათმის ბუმბული და საქონლის ძვლები ეყარა. ანკარა წყალი ქვებსა და ბალახებში წყნარად მილიკლიკებდა.

ალექსი შეჩერდა, ნაწისქვილარის ბექზე ბავშვები ახალმთვარისებურად გაწალიკდნენ. ჯერ კი დააპირა ალექსიმ, პატარები იქიდან გაერეკნა, მაგრამ მერე ხელი ჩაიქნია.

— აბა, ჯავრიავ, შე ბეჩაო, არ მემეტები, მაგრამ რა გიყო, გაწვალებულ სიცოცხლეს უეცარი სიკვდილი არ გირჩევნია? — ჩაილაპარაკა, ძაღლი დაბლობში ჩაიყვანა, როგორც თვითონ უნდოდა, ისე დააყენა, შემდეგ უკან გამობრუნდა, ბექზე ავიდა, საბლის ბოლოს ფეხი დაადგა, აქაოდა ძაღლი არსად გამექცესო, თოფი მხრიდან მოიხსნა, ჯიბე მოიჩხრიკა, ვაზნა ამოიღო და ძაღლს ჩახედა.

ასე ახლოს, პირისპირ, ჯერ არაფრისთვის არ უსროლია ალექსის. გული შეეთანაღრა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, ლამის ხელი აიღო განზრახვაზე. ბოლოს როგორღაც შერცხვა ბალღებისა. რაკი აქამდის მოვიყვანე, უნდა კიდეც მოვუღო ბოლო. — გაიფიქრა და გული გაიმაგრა.

ჯავრია თავჩაღუნული იდგა და უხმოდ ელოდა ბედის განაჩენს.

ალექსიმ ათრთოლებული ხელებით თოფი შემართა. დაძაბულ დუმილში შემაძრწუნებელი ჩხლაკუნი გაისმა და, როგორც კი დაუმიზნა, მყისვე აღრიალდნენ ბიჭები.

ალექსიმ თოფი დაუშვა და ბავშვებისკენ მიბრუნდა. ,,არა, ამათთან არ შეიძლება'', — ჩაიდუდღუნა თავისთვის და ბალღებს ერთხელ კიდევ დაუტატანა:

— ან შინ წადით, ან აქედან ფეხი არც ერთმა აღარ მოიცვალოთ, თორო დაგაგლეჯთ ყურებსა!

შემდეგ თოკი ისევ აკეცა, ძაღლი წინ გაიგდო და ნაწისქვილარს გაშორდა. კარგა რომ გაიმანძილა, შეჩერდა და უკან მოიხედა. ბალღები იქვე იდგნენ და შორიდან უთვალთვალებდნენ. ,,არა, აღარ წამოვლენ'', — იმედიანად გაიფიქრა და სვლა განაგრძო.

ჯაგებთან ღორები დაინახა. მწყემსები მყუდროზე წამოწოლილიყვნენ. მზეს ღურბლებში დაებუდა და ცივი ნიავი ჰქროდა. მინდორში გაფანტული ღორები მიწას ჩიჩქნიდნენ და გემრიელ სასუსნავს ეძებდნენ. უცბად, სად იყო და სად არა, საიდანღაც ერთი გაქუცული ძაღლი გამოვარდა და დოსტოღრივ ალექსისკენ გამოქანდა. მაგრამ ახლოს რომ მოვიდა, კაცს კი არ გასცა ხმა, პირდაპირ ჯავრიას ეძგერა. ვინ იცის, გულში რა ჯავრი ჰქონდა ამ ბებრისა. ჯავრია ფეხსაც არ იქნევდა, გამძვინვარებულ ყურშას ჩულივით ედო ქვეშ და მორჩილად ეგლეჯინებოდა. ან კი რა შეეძლო, დაწყლულებული ღრძილებით რას დააკლებდა...

ალექსიმ ჯერ კი უყურა, უყურა და მერე გული როგორღაც უცნაურად შეეკუმშა. მივარდა ყურშას, კონდახი მაგრა ჩაათაქა ფერდში და, იცოცხლე, იმან გაქცევა იკადრა!..

საწყალმა ჯავრიამ პირი დააღო და გულსაკლავად აყმუვლდა, დაბეგვილი ძლივს წამობორტყდა და პატრონს შეხედა.

ალექსიმ ძაღლს თოკი შეხსნა, შინისაკენ მიბრუნდა და თოფი ჰაერში გაისროლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დღეს სხვა ხარ ჩვენთვის

ენგურჰესის მშენებლებს

„ლილეოსა“ და „ვარადას“ ხმებით,
მთებს დაფენილი ჭაღარა თმებით,
შფოთვის და ღელვის მარად ერთგული —
ანაკლიისკენ მოჰქუხს ენგური.
ვინ გადააწნა მათრახი ტალღებს,
თითქოს დაოთხდა რემა მძინარე,
მოარღვევს ჯიქურ იისფერ თალებს
ეს სტიქიონი — ასე მძვინვარე.
  მუდამ ფიცხი და ცეცხლის მკვესავი,
მწვანე ოდიშის ლომის ფაფარი,
ჩემი გადია და ნათესავი,
ჩემი ბავშვობის ტკბილი ზღაპარი,
ახლა კი
მანდობს სხვაგვარ ქველობას,
(მოათამაშებს ტალღებს რაშებად),
ამდენი წელი თურმე ელოდა
ჩქერთა სინათლედ აკაშკაშებას.
დღეს სხვაა ჩვენთვის ენგურის ტალღა,
ეს ამირანი — ცისფერთვალება,
მირიად ღამეს წალეკავს სადღაც
მისი მზისფერად აელვარება.



# ფიქრები რუხის ციხესთან

გადაიქროლეს გრიგალებმა,
გადაიარეს,
ციხეს სიმშვიდედ მოხვევია
სურო და ფითრი;
რუხის ციხესთან
ყანა მწვანედ ისევ შრიალებს,
მაგრამ მე მაინც
წუთით მიპყრობს წარსულზე ფიქრი.
აქ ქართველ სპათა
უწმინდესი დანთხმულა სისხლი, —
მომხდურთ ხმალდახმალ
შეელეწნენ გმირი კოლხები;
აქ სისინებდა ისარივით
გრიგალში ისლი,
ციებ-ცხელებით გათანგული
თვლემდნენ ქოხები.
მიმდუღრულიყო ჭაობებზე
ჭორთი და შოთხვი
და იდგა ჟამი უსასოო,
მწუხრის ზარებით;
ესიზმრებოდათ მამელუკებს
ცრემლით და ოხვრით
აწ წართმეული ფაზისი და
პონტოს კარები.
გადაიარეს გრიგალებმა,
გადაიარეს,
და ისვენებენ
ვალმოხდილი ბაირაღები;
იმ ძნელბედობას
დღეს ჩონგურის სიმი წკრიალებს
და ბანს აძლევენ
დახუნძლული, მწვანე ბაღები.
ვით ოაზისში
იაგურის ქლალი თვალები,
გვიმზერს წარსული
ვარამნახულ სათოფურებით,
დღეს მზეს
სიმშვიდე დააქვს ყველგან
ოქროს, ცურებით,
განახლების და აღშენების
ქრიან ქარები.



# ცოტნე დადიანი

აწ ლეგენდად და ზღაპრად ქცეული —
სახელი იგი — მუდამ ნათელი,
ასეთ განწირვით,
სისხლით,
სხეულით
მტერს აჩოქებდა, თურმე ქართველი.

დაბადებული ერის მსახურად,
მამულისათვის იტანდა ტკივილს, —
საქართველოც ხომ დიდებით ივლის,
თუ ქართველს ცოტნეს ქუდი ახურავს.



# ვით ოწინარი

წაფრენილი აქვს ოწინარს ყელი
და, წეროსავით ცალ ფეხზე მდგარი,
შეახებთ ხელს თუ დაჰბერავს ქარი,
ჭრიჭინობელას ჰანგებზე მღერის.
ჭიდან მორჩილად ცის ნაჭერს ხაპავს
და ცასთან ერთად კამკამა ჩქერი,
როცა ვედროში დაიწყებს ლაპლაპს,
მოიწევს ზევით
საოცარ ღელვით.
როს ალისრულებს საწადელს გულის,
ის ახალ თრთოლვას და ჟრჟოლას ელის.
დაგვყვა თვისება ჩვენც ოწინარის —
ვისწრაფვით ცოდნის უსაზღვრო ჭისკენ...
მოვიკლავთ წყურვილს?
ვიცოდეთ, ისევ
მძაფრი წყურვილი მხოლოდ წინ არის.



# გმირთა, მამულო!

საბჭოთა კავშირის გმირს
გრიგოლ სხულუხიას

როცა მზე სხივებს, როგორც ანკესებს,
ზღვაში დასავლით ოქროსფრად ფანტავს,
სოფელი ჩონგურს ჩუმად აკვნესებს
და მღერის სევდით:
„სადა ხარ, ბატავ!“..
რამდენი წელი გასრულდა უკვე,
ხეთა რამდენი გაცვდა სამოსი,
მიჟანგებია დუმილი ბუკებს,

მინავლებულა ომის ქაოსი.
ხომ ჰგავდა კივილს იმ დღის თენება,
როცა მღვრიე ხმა წარღვნად მოისმა,
როცა სამშობლო ცეცხლის ენებმა
და მტრის მახვილმა გარემოიცვა.
შეეძლო ვინმეს მშვიდი ცხოვრება?
ქვეყანა ჩვენგან შველას ელოდა, —
რუსეთს მარადჟამ ემახსოვრება
გმირთა მაშველი საქართველოდან.
ეამაყება ჩემს ხალხს მარადის
შენი სიმტკიცე და თავგანწირვა.
შენ, სისხლო,
ცეცხლო ოდიშ-მარაბდის,
დაბადებულო მამაც არწივად,
დაედე მამულს მტლად და ზვარაკად
და დაიდაფნა შენზე გალობაც,
შენი გმირობა, მართლაც არაკად
გადაეცემა შთამომავლობას.



დედავ მადლობა!

ორგზის სოციალისტური
შრომის გმირს
თამარ ჟუჟუნიას

შრომით,
სიმაღლით,
ცისკრის ნათელით
ოდიშის ცის ქვეშ ხარობ, დედაო;
შენი საქმით და შენი სათქმელით,
საუკუნეებს მინდა ედავო.

გოლუაფშირო,
შენი სისხლია
მარადისობის გულში რომ მიჰქრის...
მერმისი ადრეც ბევრჯერ გიხსნია,
ადიდებ ახლაც საქმით და ფიქრით.
ადრეც იყავი ჩვენი კლდე-კარი,
არ მოუშალე არწივთ ბუდენი, —
შენც უთვალავჯერ მკერდით შეჰკარი
დედასამშობლოს ციხე-ზღუდენი.
დღემდე მოხვედი ნამუს-დიდებით,
ახლა სიცხადით მზეს ეფონები, —
დღეს ჩაის ბუჩქთა პირამიდებით
არად აქციე ფარაონები.
ხვავქმნილა შენგან ჩაი — ბაჯაღლო
და... ასე დიდხანს უნდა იარო,
დრომ შენ ვერასდროს ველარ დაგჯაბნოს,
ორი ვარსკვლავის ერთად ციალო!



ჩვენი სიმღერები

ხალხური სიმღერების ჰანგი —
გაბმული „ოდოია" და „ჩელა",
ბავშვობის თაფლი და ბანგი,
ჩემს გზაზე მზესავით ელავს
(მოვმართე თუ არა ჩანგი,
თითოეული მომვარდა შველად).
„შენ საით, ბატავ!.."
ველად
იფანტება სხივები მთვარის,
რუხი და სინწა ღელავს,
ჩურჩულებს მაცხოვრის კარი.
„ძაბრალე" იმღერეთ ახლა,
ცისარტყელით შეიკრას თაღი, —
კაცმა და მუსიკამ მაღლა
ასწიოს სამშობლო — ბაღი.



დბრუია, ბონდო...

(ძველი კოლხური
სიმღერის მოტივზე)
ზურაბ სოტკილავას

სძინავს ბონდოს...
დბრუია, ბონდო,
სუსხი ჭირხლავს ჯარგვლის მორებს,
ჩემო ოქრო,
ოქროს ზოდო,
ალბათ ძილშიც ებრძვი ლომებს.
გაიზრდები და მზის ქნარით
შენც იქნები სუნთქვა ხვალის,
გეყოლება მძლე ლაშქარი,
ვეშაპის და დევის ძალის.
დბრუია, ბონდო,
მხოლოდ ძილში
თუ იპოვი ახლა შვებას,
თორემ მერე არ დაიშლი
შეკრა ვნება ქარიშხლებად.
დბრუია, ბონდო,
სძინავს ბონდოს,
ქარი ნანას იმეორებს,
ჩემო ოქრო,
ოქროს ზოდო,
ალბათ ძილშიც ებრძვი ლომებს.



უშანგი
ზარეკიძე

დარბაზში შუქი ქრება.
ისმის ქართული ხალხური სიმღერა: „დილა არის, ცა-ლაჟვარდი მზისა სხივით იფერება".
ფარდა ნელ-ნელა იხსნება. მოჩანს თოვლით შეფერილი შორეული მთები.
ტყე... წყაროზე პირის გასასველებლად ამოდიან მწყემსი ბიჭები.
იწყება პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ცენტრალური პიონერული თეატრის მორიგი სპექტაკლი „წიქოთის განთიადი", რომელიც ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავს.
მაყურებელი მოწმე ხდება იმ შეუპოვარი ბრძოლისა, რომელიც გაიმართა საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. კერძოდ, პიესა მოგვითხრობს, გურიის ერთ-ერთი სოფლის ახალგაზრდობის ბრძოლაზე 1923-24 წლებში მენშევიკური ავანტიურის ჩახშობისათვის.
უ. ზარეკიძის პიესა „წიქოთის განთიადი" 1970-71 წლის სეზონის ბოლო პრემიერაა, რომელიც ცენტრალური პიონერული თეატრის მსახიობებმა ნორჩ მაყურებელს უჩვენეს. ამავე დროს იგი საიუბილეო სპექტაკლიცაა — თეატრის მეოცდაათე სეზონის წარმოდგენა.
დიახ!.. მიმდინარე წლის 2 მაისს შესრულდა 30 წელი მას აქეთ, რაც ქართველმა მოსწავლეებმა მიიღეს ძვირფასი საჩუქარი — პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე.



„საიდუმლო გვერდი“ — მარლენ შენგელაია, პაატა ჟიჟიანი, რაულ ხუჯუა.

შენობაში, სადაც ოდესღაც მეფის რუსი მოხელეები პარპაშობდნენ, მართავდნენ კარნავალებსა და ცერემონიებს, ახლა ბავშვების მხიარული ჟრიამული გაისმის. მისი დერეფნები, ჰოლები და დარბაზები წითელყელსახვევიანმა გოგობიჭებმა აავსეს.

სასახლის გახსნის პირველსავე თვეებში ჩაეყარა საფუძველი პიონერულ თეატრსაც, რომელსაც სათავეში პედაგოგი დავით ჯალაღანია ჩაუდგა.

სცენის მოყვარული, რა თქმა უნდა, ბევრი აღმოჩნდა. საჭირო გახდა მკაცრი კონკურსის მოწყობა, რის შედეგადაც თეატრისათვის შეირჩა ყველაზე უფრო ნიჭიერი ნორჩი მსახიობები.

„ბავშვებს თავიდან რაც მოჰყვათ პიონერულ თეატრში, ეს იყო სცენისადმი სიყვარული, — იგონებს დავით ჯალაღანია, — დანარჩენი: სალი მეტყველება, ხასიათების გამოკვეთის უნარი, გარდასახვის თვისება, თანდათანობით, დროთა განმავლობაში გამოუმუშავდათ“.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ვიდრე უშუალოდ სპექტაკლის მომზადებას შეუდგებოდნენ, კარგა ხანს ვარჯიშობდნენ ეტიუდებზე, თეატრალურ ამოცანებზე, სკეტჩებზე.

და აი, დადგა წარმოდგენის დადგმის დროც! რეჟისორმა დასადგმელად აირჩია ხორიკოვის საბავშვო პიესა „პიონერული საგუშაგო“. პიესა მოგვითხრობდა პიონერების მოხერხებულობასა და გამბედაობაზე, საზღვრის დამრღვევებთან მათს უთანასწორო ბრძოლაზე. პირველი სპექტაკლის პრემიერა ზეიმად გადაიქცა. ნორჩ მსახიობებს გულწრფელად მიულოცეს გამარჯვება მოწვეულმა სტუმრებმა, მშობლებმა და ამხანაგებმა. არავინ იცოდა მაშინ, რომ ის ახალბედა, გამოუცდელი სცენის მოყვარე ბავშვები შემდეგში თავის ბედს მთლიანად დაუკავშირებდნენ ხელოვნებას, სცენას, თეატრს და ქართველი მაყურებლის საყვარელი მსახიობები გახდებოდნენ. აი, ისინიც: რესპუბლიკის სახალხო არტისტი კოტე მახარაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მერაბ თაბუკაშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, იამზე ტყავაძე, ბადრი კობახიძე, შოთა ქოჩორაძე...

ბავშვებს უყვართ გმირების თავგადასავალი. სწორედ ამიტომაც რეჟისორმა ჯალაღანიამ მეორე წარმოდგენად გიორგი ნახუცრიშვილის პიესა „გიორგი სააკაძე“ აირჩია.

ასე ჩაეყარა საფუძველი სასახლის ცენტრალურ პიონერულ თეატრს, რომელმაც მალე მოიხვეჭა თბილისელ მოსწავლეთა მოწონება და სიყვარული.

ომის პერიოდში, ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი თეატრების მსგავსად, პიონერულმა თეატრმაც თავისი რეპერტუარი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლისა და გმირ პიონერთა ცხოვრების ამსახველი პიესებით გაამდიდრა. ნორჩმა მსახიობებმა დიდი სიყვარულით განასახიერეს გმირი კომკავშირელების კლავა ნაზაროვას, ზოიას, უშიშარი პიონერის პავლიკ მოროზოვის სახეები.

ომისა და ომისშემდგომ წლებში პიონერულ თეატრში მოვიდა ნორჩ მსახიობთა ახალი თაობა. (ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ოთარ მეღვინეთ-უხუცესი, თენგიზ არჩვაძე, რევაზ თავართქილაძე, კარლო საკანდელიძე, გიზო სიხარულიძე, ირაკლი შუშანია, ლია ელიავა, ზინა კვერენჩხილაძე, გურამ საღარაძე, მოსკოვის ოლქის თოჯინების თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მო-



„თეთრად ფრიალებს აფრა ეული“: ბაცაცა — პირველკლასელი ბაჩუკი აბუაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვაწე აქვსენტი გამსახურდია და მრავალი სხვა.)

სხვადასხვა დროს ცენტრალურ პიონერულ თეატრს სათავეში ედგნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი სერგო ზაქარიაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნოდარ ჩხეიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თამარ ბაქრაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ სულაქველიძე, თედო წეროძე. თითოეული მათგანი დიდი სიყვარულით და სიფაქიზით მუშაობდა პატარებთან, გადასცემდა მათ ცოდნასა და პირად გამოცდილებას, ღრმად ახედებდა სცენურ ხელოვნებაში.

ცენტრალურ პიონერულ თეატრს ყოველთვის ჰქონდა კავშირი თბილისის წამყვან თეატრებთან. სახელმწიფო თეატრების ხელმძღვანელები შეფობდნენ ნორჩ მსახიობებს, ეხმარებოდნენ გარდერობისა და რეკვიზიტის გამდიდრებაში, ბუტაფორების დამზადებაში, აძლევდნენ გრიმებსა და პარიკებს.

თავის მხრივ ცენტრალური პიონერული თეატრი დახმარებას სთავაზობდა რაიონების პიონერთა სახლებთან არსებულ დრამატულ წრეებს, აგრეთვე საშუალო სკოლების დრამატულ ჯგუფებს. ეხმარებოდა რეპერტუარის შერჩევაში, მარტივი დეკორაციებისა და ბუტაფორიული წიგნების დამზადებაში.

თეატრი ხშირად მართავს ხოლმე გასვლით სპექტაკლებს ქალაქის სკოლებისა და კულტურის სახლების სცენაზე. მიმდინარე წელს გასვლითი სპექტაკლები მოეწყო თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის, თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის, პლეხანოვის სახელობის კლუბსა და რუსთავის კულტურის სასახლეში.

რამდენიმეჯერ მოეწყო პიონერული თეატრის სპექტაკლების განხილვა-გარჩევა. ნორჩი მაყურებლები გვიზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებას, გულწრფელად გვეუბნებოდნენ რა მოსწონდათ და რა არ მოსწონდათ. ასეთი შეხვედრები მაყურებელთან, ეხმარებოდა თეატრს მუშაობის სწორად წარმართვაში.

თავისი არსებობის მანძილზე თეატრმა დადგა ოთხმოცზე მეტი სპექტაკლი, — ქართველ, რუს, უკრაინელ და დასავლეთ ევროპელ დრამატურგთა პიესები, რომლებიც უმთავრესად ბავშვების ცხოვრებას ასახავდა, ან ბავშვებს ეხებოდა.

ნორჩმა მაყურებელმა თავის დროზე გულთბილად მიიღო სპექტაკლები „იავნანამ რა ჰქნა", „ცისფერი და ვარდისფერი", „ჰავანელი ბიჭები", „პავლიკ მოროზოვი", „პატარა დონკიხოტები", „დავიწყებული ძელმიწური", „მრუდე სარკეების სამეფოში", „ილიჩის ღიმილი", „ვარსკვლავბიჭუნა" და მრავალი სხვა.

...სპექტაკლი დასრულდა.

მაყურებელი აღფრთოვანებით უკრავს ტაშს საიუბილეო სპექტაკლის მონაწილე ნორჩ მსახიობებს ზურაბ ზურაბიშვილს, ზურაბ მუხიგულს, ლეილა მიმინოშვილს, მარინე რაქვიაშვილს, ვახტანგ გუნცაძეს.

წინ კი გრძელი შემოქმედებითი გზაა — ახალი სპექტაკლები, პრემიერები!



სცენა სპექტაკლიდან — „ბიჭები ძა-ე ქუჩიდან".



„ჭინჭრაქა". მელია — რუსუდან ქვლივიძე.



„ჭინჭრაქა". ქოსა—ზურაბ სეფისკვერიძე



„თეთრად ფრიალებს აფრა ეული". ტირის მეპატრონე — ალეკო ჭინჭარაძე.

მზია ჩხეტიანი



## ალუბლები

ალუბლები,
ღობე-ღობე ალუბლები
კუნწულ-კუნწულ
დახუნძლულან მზით,
ოცნებებში საით აღარ გაუყვები
კუნწულ-კუნწულ მოღალანე გზით.

წკრიალ-წკრიალ მიიჩქარის,
მიჰქრის ღელე,
წკრიალ-წკრიალ თოხი მისდევს სვრელს;
გიო პაპა გარუჯული,
დიდი ხელით
დოქს აიღებს ცივ-ცივსა და სველს.

აფრინდება ჭრელი ჩიტი — ჩიტბატონა
და ლაჟვარდში აიყოლებს თვალს;
თეთრმა ნისლმა მთის მწვერვალი მიატოვა,
აედევნა აფრააშლილ ქარს.

წკრიალ-წკრიალ მზე ილვრება სიმინდებში,
წკრიალ-წკრიალ ჩიტი-გვრიტი სტვენს
და თიბათვის ფრთაშესხმული დილის ეშხი
მინდვრად, ტყეში გვიხმობს, გვიხმობს ჩვენც!

## შენი მხარი და მარჯვენა ხელი

თვით პაწაწინა მზესუმზირამიც
სიცოცხლე მზეს და გაზაფხულს
ელის...

რა სამყაროა, ო, შენს წინაშე —
ლამაზი, სავსე, რთული და ვრცელი!

რა სამყაროა, ო, შენს წინაშე —
ცა, ოკეანე, ტყე, მთა და ველი!
შენი სათუთი ხელის სინაზეს
ირგვლივ რამდენი ყვავილი ელის!

ყველგან თამამად შეაღე კარი,
არ ჩაუქნიო სიძნელეს ხელი,
სატურნი, მარსი,
ვენერა, მთვარე
შენს მტკიცე მკლავს და
ნაბიჯებს ელის!

რა გზა იშლება, ო, შენს წინაშე,
ძიებით სავსე, გრძელი და ძნელი!
ბევრს დასჭირდება შენი სინაზეც,
შენი მხარი და მარჯვენა ხელი!

ვერ მოგატყუებ, —
შეგხვდება მწარეც,
ქვეყანა გახლავს საკმაოდ ჭრელი,
მაგრამ, იცოდე, მტერიც, მოყვარეც
შენგან საკადრის საზღაურს ელის!



დავით ბადრიძე

მხატვარი
იური ძლიაბაძე.

# დიდგორის ბრძოლა

XI საუკუნის 80-იან წლებში საქართველო დაიპყრეს მომთაბარე თურქებმა. მათ, თავიანთი ერთ-ერთი ბელადის — სელჯუკის სახელის მიხედვით, თურქ-სელჯუკებს უწოდებდნენ.

დამპყრობლებმა დიდი ხარკი დააკისრეს ქართველებს და ახლა იმასა ცდილობდნენ, რომ ჩვენს ქვეყანაში დასახლებულიყვნენ და აქაურობა თავიანთი საქონლის საძოვრებად გადაექციათ. ეს ამბავი კი განსაკუთრებით საშიში იყო, ვინაიდან ამას მოჰყვებოდა ქართველების განდევნა და მათ მაგიერ თურქების მომრავლება. ბოლოს კი ქართველობა შეიძლება სრულიადაც გამქრალიყო ამ მხარეებში.

თურქებმა აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილიდან მართლაც განდევნეს ქართველები.

ამ დროს, ეს იყო 1089 წელი, საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა 16 წლის დავით IV.

დავითი მრავალმხრივად განათლებული პირი იყო. მან საფუძვლიანად იცოდა რამდენიმე ენა, მათ შორის არაბული და სპარსული. ამავე დროს იგი შესანიშნავად იცნობდა ქრისტიანულ და მაჰმადიანურ ღვთისმეტყველებებს, კარგად ერკვეოდა ასტრონომიასა და სხვა მეცნიერებებში. დავითს განსაკუთრებით უყვარდა ისტორია და მწერლობა. ისტორია მას იმიტომ აინტერესებდა, რომ წარსულში მოღვაწეთა წარმატებები თუ შეცდომები კარგად გაეთვალისწინებინა თავის მოღვაწეობაში. მწერლობით კი დავითი ისე იყო გატაცებული, რომ თვითონაც ბევრს წერდა. იგი შესანიშნავი პოეტი იყო.

გამეფების დღიდანვე დავითმა შემოიკრიბა ქვეყნისათვის თავდადებული, ერთგული თანატოლები და მათთან ერთად გადაწყვიტა სამშობლოს განთავისუფლება თურქებისაგან.

დავითმა კარგად იცოდა, რომ ასეთი დიდი ამოცანის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, თუ ქვეყანას სათავეში არ ჩაუდგებოდა ძლიერი მეფე. მისი აზრით, მხოლოდ ასეთ პიროვნებას შეეძლო შინაური თუ გარეშე მტრის ალაგმვა და ქართველი ხალხის დარაზმვა თავისუფლებისათვის საბრძოლველად. ამიტომ დავითმა დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო ზოგიერთი თავნება დიდაზნაურისა და მღვდელმთავრის წინააღმდეგ და ყველანი თავის ტახტს დაუმორჩილა.

ძლიერი სახელმწიფო წარმოუდგენელია, თუ საგანგებოდ გაწვრთნილი მხედრობა არ გააჩნია. ამიტომ დავითმა დაიწყო დიდი ლაშქრის შედგენა, რომელიც თანდათან მრისხანე ძალა გახდა კავკასიასა და მის გარეთაც. სწორედ ამ ხანებში დავითმა შეიკედლა რუსთა მიერ აკლებული ყივჩაღთა ერთ-ერთი ტომი და მას ადგილსამყოფელი თავის ქვეყანაში მიუჩინა. ყივჩაღები განთქმული მეომრები, განსაკუთრებით კი კარგი ცხენოსნები იყვნენ. დავითმაც მათი ეს თვისება საქართველოს მტრებთან ბრძოლაში გამოიყენა.

დავითი ახალი გამეფებული იყო, როცა თურქ-სელჯუკთა სახელმწიფოში ატყდა დაუსრულებელი ბრძოლა ტახტისათვის, რამაც ამ ქვეყნის შინაური სიმშვიდე დაარღვია. ამას მოჰყვა ევროპელ ჯვაროსანთა ლაშქრობები ახლო აღმოსავლეთში, რომლის დროსაც თურქები დამარცხდნენ და ამიტომ საგრძნობლად დასუსტდნენ.

დავითმა მოხერხებულად ისარგებლა ყოველივე ამით. მან ჯერ ხარკის ძლევა შეუწყვიტა თურქებს, ხოლო შემდეგ მოულოდნელი და სწრაფი თავდასხმებით დაიწყო მათი განადგურება, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთაც.

ასე რომ, XII საუკუნის 10-იანი წლების ბოლოსთვის დავითმა თითქმის მთლიანად მოახერხა თურქებისაგან საქართველოს განთავისუფლება.

მტრის გავლენის ქვეშ რჩებოდა მხოლოდ თბილისი და მისი შემოგარენი, რომელიც ოთხი საუკუნის მანძილზე დამპყრობლების ხელში იმყოფებოდა.

დავითისა და ქართველების ამ წარმატებებს უდიდესი შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს ირანში, სადაც თურქთა მთავარი ძალები იყო განლაგებული. აქ ასე ფიქრობდნენ: დღეს დავითი ჩვენს თანამოძმეებს კავკასიაში ანადგურებს, ხვალ კი შეიძლება აქაც მოვიდესო. თურქებს განსაკუთრებით ის აშინებდათ, რომ დავითს კეთილი განწყობილება ჰქონდა ჯვაროსნებთან, — მისი ჯარების ერთი ნაწილი თვით იერუსალიმშიაც კი ეხმარებოდა ჯვაროსნებს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყოველივე ამის გამო, თურქებმა გადაწყვიტეს გაერთიანებულიყვნენ და დავით აღმაშენებლის ქვეყანა ხელახლა დაემონათ. მათ შეკრიბეს 600-ათასიანი ლაშქარი, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს თავიანთი ყველაზე გამოცდილი და სახელოვანი სარდლები; ილღაზი, დუბეის სადაყას ძე, თოღრულ-ბეგი თუ სხვანი და საქართველოსაკენ გამოემართნენ.

ეს მოხდა 1121 წლის ზაფხულში.

თურქთა უზარმაზარი ლაშქარი ჩვენი ქვეყნისაკენ რამდენიმე ნაწილად მოიწევდა. ერთი მათგანი, რომელიც თრიალეთის გზით მოდიოდა, დღევანდელი წალკის (ძველი თრიალეთი), მანგლისისა და დიდგორის მთის სამხრეთ ფერდობებზე, ე. წ. ზემო დიდგორის გზით თბილისისა და შიდა ქართლისაკენ ფიქრობდა გაჭრას. მეორე ნაწილი კი განძიდან იყო მოსული და დიდგორის ჩრდილოეთ კალთების სიახლოვეს, დიღმის ხეობაში იდგა.

ამრიგად, მტერი, რომელიც თბილისიდან რაღაც ნახევარი დღის სავალზე იმყოფებოდა, იმასღა ელოდებოდა, რომ გუნდ-გუნდად შესეოდა ქართველთა ქვეყანას და ერთიანად აეკლო იგი.

ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ყველაფერი, ქვეყანა დავითისა და მისი მხედრობის წინდახედულობასა და თავგანწირვას რომ არ ეხსნა.

დავითმა გადაწყვიტა დაესწრო მტრისთვის: ვიდრე ის თავისი მრავალრიცხოვანი ძალებით დაბლობებზე გაიშლებოდა და ქვეყანას მოედებოდა, მთაგორიან ადგილას შებრძოლისათვის თვითონვე შეეტია.

ამ მიზნით დავითმა თავისი მხედრობა ორ ნაწილად გაყო: ერთს თვითონ ჩაუდგა სათავეში, მეორეს კი თავისი შვილი დემეტრე უწინამძღვრა.

მტრის მთავარი ძალები და მათი სამხედრო ბანაკი დიდგორის სამხრეთ კალთებთან იდგა. დავითმა სწორედ აქეთკენ განიზრახა იერიშის მიტანა. ეს ოპერაცია ისეთი მნიშვნელობისა იყო, რომ მან შემდეგში მთლიანად გადაწყვიტა კიდეც ომის ბედი.

12 აგვისტო იყო.

დავითმა თავისი ჯარები ფარულად განალაგა ზემო დიდგორის ხეობისმაგვარ გადმოსასვლელებზე და მტერზე უეცარი თავდასხმისათვის მოემზადა.

ჯერ კიდევ სიწყნარე იყო, როცა მთავარ ბანაკში მყოფმა თურქებმა შეამჩნიეს ქართველთა მხრიდან მომავალი ორასიოდე მებრძოლი. თურქებმა იფიქრეს: ასეთი მცირერიცხოვანი რაზმი საომრად როგორ მოვიდოდაო. ამ აზრს მათ ისიც განუმტკიცებდათ, რომ ქართველთა მხრიდან წამოსულები თურქებისაკენ მშვიდად და აუღელვებლად მოემართებოდნენ. ყველაფერმა ამან თურქებს აფიქრებინა, ალბათ ესენი დავითის ჯარიდან გამოქცეულები არიან და, რომ შესაძლოა ჩვენთან შესაკედლებლად მოდიანო, ამიტომ თურქებმა ისინი დაუბრკოლებლად მიიღეს თავიანთ ბანაკში.

უცებ, ბანაკში მოსულებმა იარაღი იშიშვლეს და თავგანწირულად ეკვეთნენ თურქებს.

ბანაკში ყველაფერი აირია. თურქებმა ვერც კი მოასწრეს გონების მოკრება, როცა დაინახეს: სამალავიდან მათ ქართველთა დიდი ლაშქარი უახლოვდებოდა, რომელსაც წინ რაინდული აღნაგობის მხედარი მოუძღოდა. ეს იყო თვითონ დავით აღმაშენებელი.

ქართველთა მთავარსარდლობის ასეთმა სამხედრო ხერხმა მტრის ბანაკი შეაკრთო და მამაცობის უნარი ჩაუკლა. ქართველები, პირველ ყოვლისა, გამალებით მიიწევდნენ მტრის მთავარსარდლობისაკენ. და აი, მას



ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფად მიაყენეს დიდი ზიანი: ილღაზი მძიმედ დაჭრეს, დუბეის სადაყას ძეს კი ისე ახლოს მიეჭრნენ, რომ მკერდიდან ძვირფასი ოქროს სამკაულებიც კი ჩამოგლიჯეს (შემდეგ ისინი გელათში, ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესწირეს).

ბრძოლა დიდხანს აღარ გაგრძელებულა, რადგან მთაგორიან ადგილას ხელფეხშეკრული, მოულოდნელობისაგან ძალზე დაბნეული მტერი ერთბაშად მოტყდა და უწესრიგოდ გაიქცა.

ასეთივე ბედი ეწიათ თურქთა სხვა ნაწილებსაც, რომელთა განადგურებასაც დემეტრე უფლისწული ხელმძღვანელობდა.

ქართველებს ისღა დარჩენოდათ, დასდევნებოდნენ გაქცეულ მტერს და ბოლომდე გაენადგურებინათ იგი.

ქართველებმა თავიანთი საზღვრების მიღმამდე მისდიეს თურქებს, დაატყვევეს ისინი და მოსრეს. ტყეღრეში დამალულ ბევრ თურქს ქართველები შემდგომში უბრძოლველადაც კი იპყრობდნენ.

ქართველებს უდიდესი ალაფი დარჩათ.

საქართველო გადარჩენილი იყო და ახლა მხოლოდ თბილისის განთავისუფლების ჯერი იდგა.

ეს დღეც მოახლოვდა.

1122 წელს დავითი თბილისსაც მოადგა და სწრაფად აიღო ის. ამრიგად, ქართველებისაგან დიდხანს მოწყვეტილი ქალაქი კვლავ თავის პატრონებს დაუბრუნდა და ერთიანი საქართველოს დედაქალაქი გახდა.

დიდგორთან გამარჯვებას ქართველი ხალხის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ქართველებს შეუნარჩუნაეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და საშუალება მისცა უფრო წარმატებით, იმედიანად განეგრძო ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისა და ძლიერებისათვის, თურქების დაჯაბნისათვის კავკასიაში. ამავე დროს ეს იყო ბრძოლა იმ კულტურული ტრადიციების აღდგენისა და შენარჩუნებისათვის, რომლებსაც თურქები კავკასიაში მოსვლის დროიდან განადგურებით ემუქრებოდნენ. ერთი სიტყვით, თავისუფლებისა და კულტურული განვითარების გზა ხსნილი იყო და ქართველობაც ზეიმობდა, ადიდებდა მისი კეთილდღეობისათვის მებრძოლ გმირებს და მათ შორის პირველ გმირს დავით მეფეს, რომელსაც ხალხმა საქართველოს სახელმწიფოების და მისი დამოუკიდებლობის აღმდგენელი, ანუ აღმაშენებელი უწოდა.






# სტუმრად ვეტერანთან

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ისტორიის თავფურცელზე არა ერთი და ორი ადამიანის ნათელი სახეა აღბეჭდილი. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც პირველებმა გაიტანეს კვალი ჩვენი რესპუბლიკის მოზარდთა პიონერულ სარბიელზე, პირველებმა გაიკეთეს ალისფერი ყელსახვევი და ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის მებრძოლთ თამამად ამოუდგნენ მხარში. ამ ამგვარ ადამიანთა ცხოვრება სანიმუშო მაგალითია ყველა პიონერმოსწავლეთათვის, ვისაც უყვარს თავისი ორგანიზაციის წარსული და სურს ჩვენი დროის ღირსეულ მოქალაქედ გაიზარდოს.

და აი, ჩვენც ამ ერთ-ერთ ვეტერან პიონერს, ცხინვალის 1-ლი ქართული საშუალო სკოლის დირექტორს, პატივცემულ ვახტანგ კასრაძეს ვეწვიეთ. ვთხოვეთ ეამბნა პირველი პიონერების საქმიანობაზე; ეამბნა იმაზეც, თუ რა გავლენა მოახდინა მის ცხოვრებაზე პიონერთა რიგებში ყოფნის პერიოდმა.

— 1924 წლის იანვარი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ღირსსახსოვარი თარიღია, — გვიამბო პატივცემულმა ვახტანგმა. — მე მაშინ ცხინვალის ქართული შვიდწლიანი შრომის სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე გახლდით და თოთხმეტი წელი მისრულდებოდა. ახლაც მკაფიოდ მიდგას თვალწინ ის მღელვარებით აღსავსე დღე, როცა მითხრეს, ამიერიდან შენ უკვე პიონერი ხარო, და ჩემს მკერდზე წითელი ყელსახვევი აფრიალდა. უსაზღვრო სიხარულით ფრთაშესხმულს გული გასაფრენად მეწეოდა, ცა და ქვეყანა ჩემი მეგონა...

იმხანად ჩვენს ქალაქში მხოლოდ ერთი პიონერული კოლექტივი, ანუ ერთი რაზმი იყო, მას ვახტანგ ქურთიშვილი ხელმძღვანელობდა. რაზმის წევრები ორ დღეში ერთხელ თავს ვიყრიდით ცხინვალის ყოფილ ებრაელთა სინაგოგის დარბაზში, რომელიც პიონერთა კლუბად იყო გადაკეთებული. აქ ვისმენდით საუბრებს ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, იმდროინდელ ვითარებაში პიონერის კონკრეტულ ამოცანებზე. შთაგვაგონებდნენ, ჩვენი სწავლითა და საქმიანობით მაგალითი მიგვეცა კოლექტივის გარეთ დარჩენილი ტოლ-ამხანაგებისათვის და ისინი ჩვენს რიგებში მიგვეზიდა.

რაზმის წევრები მართლაც სანიმუშოდ ვსწავლობდით — თითქმის ყველანი ფრიადოსნები ვიყავით, მაგრამ მხოლოდ კარგი სწავლით როდი ვიზღუდებოდით. ჩვენი ქალაქი სწრაფად იცვლიდა იერს — მშრომელი მოსახლეობა მკლავებდაკაპიწებული აშენებდა ახალ ცხოვრებას. ცხადია, ჩვენც ნორჩი პიონერები, განზე ვერ დავდგებოდით ამ საერთო-სახალხო საქმისაგან. აბა, მაშინ რაღა პიონერები ვიქნებოდით! უდიდესი ხალისით ვაწყობდით შაბათობებს ქალაქის ახალმშენებლობებზე მომუშავე უფროსების დასახმარებლად; დაუზარებლად ვაგროვებდით ჯართს... სწორედ იმ ხანებში გაშენდა ცხინვალში ბულვარი. ამ საქმეში ჩვენც გავიღეთ წვლილი: მწვანე ნარგავებს ვრწყავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით, ძირებს ვუზარავდით, იქაურობას მტვერსაც კი არ ვაკარებდით.

ჩამოყალიბებული გვქონდა სპორტული სექციები, რომელთაც ხელმძღვანელობდა მასწავლებელი სულიკო კვანჭახაძე (ამჟამად დამსახურებული მასწავლებელი, პენსიონერი, ცხოვრობს ხაშურში). ხშირად ვაწყობდით ლაშქრობებს ცხინვალის მიდამოებში, ვეცნობოდით ისტორიულ ძეგლებს. ისტორიული ძეგლების მაშინდელი ტრფიალი ახლაც ღრმად მაქვს გულში ჩარჩენილი და მუდამ ვცდილობ ჩემს მოსწავლეებშიც გავაღვივო ეს სიყვარული.

ახალი ცხოვრების პირველ წლებში ადვილი როდი იყო ადამიანების გამოხსნა საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული ცრურწმენების ტყვეობიდან. ამ მიმართულებით გაშლილ დიდ მუშაობაში ჩვენი პიონერული კოლექტივიც აქტიურად მონაწილეობდა. გვყავდა მომღერალთა გუნდი, სადაც მე დამწყები მომღერალი ვიყავი, და მშვენიერი დრამატული წრე. ქალაქის სხვადასხვა უბანში ხშირად ვატარებდით კონცერტებს, ვუჩვენებდით ათეისტურ თუ რევოლუციურ წარმოდგენებს, ვმღეროდით ახალ სიმღერებს. ამ ჩვენს გამოსვლებს მუდამ უამრავი მაყურებელი ჰყავდა.

რაოდენ აღტაცებით მიცემდა გული, ამა თუ იმ სახალხო ზეიმის დღეს, სხვა დემონსტრანტებთან ერთად, ჩვენი რაზმიც. რომ ამაყად მიაბიჯებდა ქალაქის ქუჩებში!.. მე ან რაზმის დროშა მიმქონდა, ან პიონერულ სამარშო სიმღერებს ვიწყებდი...

ერთი სიტყვით, თითოეული დღე ალსავსე იყო ხალისით, შინაარსით, იმის საამაყო შეგრძნებით, რომ მშობლიური მხარის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში ჩვენც, ნორჩი ენთუზიასტებიც ჩაბმული ვიყავით.

მართლაც ამაოდ როდი ჩაუვლია პიონერთა კოლექტივში მიღებულ წრთობას, სწავლასა და აღზრდას!

შვიდწლიანი სკოლის შემდეგ ვახტანგ კასრაძემ თბილისის სამრეწველო-ეკონომიური ტექნიკუმი დაამთავრა და კვლავ მშობლიურ ცხინვალს მიაშურა. აქ, სამხრეთ ოსეთის სარეწაო კავშირში კულტმუშაკად დაიწყო მუშაობა. აქვე შევიდა პარტიის რიგებში. იმავე დროს მისი ინიციატივით გაიხსნა სკოლები წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე მცოდნეთათვის, სადაც ახალგაზრდა მუშები სწავლობდნენ. (შემდგომში ბევრმა მათგანმა უმაღლესი განათლებაც მიიღო, ახლა ისინი მადლიერების გრძნობით ახსენებენ ხოლმე მათს პირველ მოამაგეს). მუშა ახალგაზრდებისაგან ვ. კასრაძემ შექმნა დრამატული დასი, რომელმაც 1929 წელს ცხინვალის სახელმწიფო თეატრში დადგა პირველი წარმოდგენა — ს. ერთაწმინდელის „რევოლუციის ნაპერწკალი". საყოველთაო საკოლმეურნეო მშენებლობის პერიოდში პატივცემული ვახტანგის მიერ ჩამოყალიბებული აგიტ-მხატვრული ბრიგადა დაუღალავად მუშაობდა ცხინვალის რაიონში, შორეულ სოფლებში ფეხით მოგზაურობდა და არავითარ სიძნელეს არ უშინდებოდა.

ვახტანგ კასრაძემ 1931 წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, იმავე დროს სამუსიკო ტექნიკუმშიც სწავლობდა. ინსტიტუტში მომღერალთა გუნდს და დრამატულ წრეს ჩაუდგა სათავეში და პრაქტიკებზე მუშაობის პერიოდში სხვადასხვა სოფლების მოსახლეობისათვის კონცერტებს ატარებდა.

ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრებისთანავე ცხინვალში მასწავლებლად გაამწესეს, ხოლო აგერ 31 წელია, საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობს, ამ სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ორგანიზაციებად ითვლებიან ცხინვალში. სკოლის ბევრი ყოფილი მოსწავლე ამჟამად ცნობილი პარტიული მუშაკი, სხვადასხვა საწარმოს თუ მეურნეობის ხელმძღვანელი, მეცნიერების თუ ხელოვნების მოღვაწეა. რა თქმა უნდა, ამ ადამიანთა სულიერ ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ვახტანგ კასრაძის პიროვნებამ, მისმა დაუღალავმა შრომამ. იგი ხომ მარტო სკოლის ხელმძღვანელობით არ არის შემოფარგლული. ქალაქის საბჭოს დეპუტატობა, სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეობა, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს, ოლქის განათლებისა და კულტურის განყოფილების საბჭოს, სახელმწიფო თეატრის დრამატიული საბჭოს, ხალხური ხელოვნების სახლის და კულტურის სახლის საბჭოს წევრობა, ქალაქის სკოლის დირექტორებისა და მოადგილეების მეთოდ-



ვახტანგ კასრაძე

გაერთიანების ხელმძღვანელობა... — ასეთია საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის ვახტანგ კასრაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის არასრული ნუსხა.

— პიონერთა კოლექტივში ერთად ყოფნამ, დაბრკოლებათა მხარდამხარ გადალახვამ სამუდამოდ დაგვამეგობრა რაზმის წევრები. არჩილ გვარამაძე (ამჟამად აგრონომი), ნადია გაგლოევა (დამსახურებული მასწავლებელი, პენსიონერი), კატია კოტაევა (პედაგოგი), ლუბა გაბაევა (ფარმაცევტი), ნატალია თიბილოვა (დამსახურებული ექიმი), შალვა ჯალაბაძე (შოფერი), ალექსანდრე ბერუაშვილი (ინჟინერი), დავით ცერაძე (დამსახურებული მასწავლებელი, პენსიონერი) და სხვები ახლაც ერთმანეთის სიყვარულით ვართ გამსჭვალული, სიამოვნებით ვიგონებთ იმ შორეულ, მაგრამ მარად დაუვიწყარ დღეებს, როცა ჩვენც წითელი ყელსახვევი გვამშვენებდა... — განაგრძობს პატივცემული ვახტანგი.

ვეტერან პიონერს თავისი სკოლის მოსწავლეთა შორისაც მრავლად ჰყავს ნორჩი მეგობარი, იგი ახლაც ჭაბუკური ენერგიით უშუალოდ მონაწილეობს პიონერული რაზმეულის საქმიანობაში და პირადი მაგალითით ზრდის ხვალინდელი დღის მოქალაქეებს.

ს. შამფრიანი.



# ერთი ქოთანი ვერცხლი

ტრუმენ კაპოტი

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

მოთხრობა

გაკვეთილების შემდეგ, ჩვეულებრივ, აფთიაქ „ვალჰალაში“ მივდიოდი სამუშაოდ. აფთიაქის მფლობელი ბიძაჩემი იყო — მისტერ ედ მარშალი; მისტერ მარშალს იმიტომ ვამბობ, რომ ყველა, მისი ცოლიც კი, მას „მისტერ მარშალს“ ეძახდა. იგი ძალიან სიმპათიური კაცი გახლდათ.

აფთიაქი თუმცა ცოტა ძველებური, მაგრამ ვრცელი, ოდნავ ბნელი და გრილი იყო. ზაფხულობით ჩვენს პატარა ქალაქში ამაზე სასიამოვნო ადგილს ვერ იპოვიდით. შესასვლელის მარცხნივ, თამბაქოს დახლში მისტერ მარშალი იდგა ხოლმე, დაბალ-დაბალი, წითური. დაგრეხილი ჭაღარა ულვაში მას საკმაოდ ვაჟკაცურ იერს აძლევდა. დახლის წინ პატარა სკამზე თუ დაჯდებოდით, მის ძველებურ სარკეებში საკუთარ თავს დაინახავდით, ოღონდ ბუნდოვნად — როგორც სანთლის შუქზე.

მთავარი საქონელი სპილენძისსაკეტებიან შუშის ანტიკვარულ პატარა კარადებში იყო გამოფენილი. აფთიაქში მუდამ სიროფის, მუსკატის, კაკლის ან სხვა რამის მკვეთრი სუნი იდგა.

ჩვენი პატარა ქალაქის და გარეუბნის მცხოვრებნი ხშირი სტუმრები იყვნენ „ვალჰალასი“, სანამ ქალაქში ვინმე რუფუს მაკფერსონი არ გამოჩნდა. ზუსტად ჩვენს პირდაპირ — მთავარი მოედნის მეორე მხარეს იმანაც გახსნა აფთიაქი. ბებერი რუფუს მაკფერსონი დიდი გაიძვერა ვინმე აღმოჩნდა, მან ბიძაჩემის თითქმის ყველა მუშტარი გადაიბირა, აფთიაქში ახალი მოდის რაღაცები გააჩინა: ელექტროვენტილატორები, ფერადი ნათურები და მისთანები. თუ ვინმე მანქანით მიადგებოდა, იქვე ემსახურებოდა და სანდვიჩსაც უმზადებდა. თავისთავად ცხადია, მყიდველთა უმრავლესობამ ვერ გაუძლო ცდუნებას.

თავდაპირველად მისტერ მარშალმა გადაწყვიტა ამ ამბისთვის ყურადღება არ მიექცია და მაკფერსონის ხსენებაზე მხოლოდ ჩაახველებდა ხოლმე, ულვაშზე ხელს გადაისვამდა და გვერდზე გაიხედავდა, მაგრამ აშკარად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჩვენოდა, რომ გაღიზიანებული იყო და დღითიდღე გული ბოღმით ევსებოდა.

შუა ოქტომბერი იდგა. აფთიაქში მივედი. მისტერ მარშალი თავისი დახლის წინ ჰამურაბისთან ერთად იჯდა. დომინოს თამაშობდნენ და შიგადაშიგ ღვინოს სვამდნენ. ეს ის ჰამურაბი იყო, ეგვიპტელი ვარო, რომ გვარწმუნებდა. იგი თავს კბილის ექიმად ასაღებდა.

ჩვენი ქალაქის მოსახლეობას, ადგილობრივი წყლის სამკურნალო თვისებების წყალობით, საოცრად ჯანსაღი კბილები ჰქონდა, ამიტომაც ჰამურაბის საქმე ბევრი არა ჰქონდა და უმეტეს დროს ჩვენს აფთიაქში ატარებდა. იგი ბიძაჩემის ყველაზე ახლობელ კაცად ითვლებოდა. ძალიან ლამაზი იყო — შავგვრემანი, მაღალი. მე ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ იგი ისეთივე ეგვიპტელი იყო, როგორც მე — მთვარიდან ჩამოფრენილი.

იმ დღეს ისინი ოთხლიტრიანი ბოთლით იტალიურ წითელ ღვინოს უსხამდნენ ერთმანეთს; დამაღონებელი სანახაობა იყო, რადგან მარშალი ცნობილი გახლდათ როგორც მაგარი სასმელების მტერი. „ეჰ, ყველაფერი გასაგებია, — გავიფიქრე, — დალახვროს ღმერთმა, მაინც მოერია რუფუს მაკფერსონი“. მაგრამ აქ თურმე სულ სხვა ამბავი იყო.

საღამოს, მისტერ მარშალმა ცარიელი ბოთლი ხელში აიღო.

— აბა, ახლა ვცადოთ! — თქვა და ქუჩაში გავიდა.

— ნეტა სად მიდის!? — ვიკითხე.

— ოოო... — ჩაიდუდღუნა ჰამურაბიმ. უყვარდა ხოლმე ჩემი გამოჯავრება.

გავიდა ნახევარი საათი და ბიძაჩემიც დაბრუნდა. წელში მოხრილი მძიმედ მოაბიჯებდა, რაღაც მოჰქონდა, ბურტყუნებდა. ბოთლი დახლზე შემოდგა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. გაიღიმა და ხელები მოიფშვნიტა.

— აბა, თქვენი აზრით, როგორია?

— ოო... — კვლავ ჩაიდუდღუნა ჰამურაბიმ.

— ბიჭოს! — წამოვიძახე მე.

ღმერთო ჩემო, ისევ ის ბოთლი იყო, მაგრამ მას საოცარი რამ დამართნოდა — ახლა იგი პირთამდე ვერცხლის ხუთ და ათცენტიანებით იყო სავსე. მონეტები სქელი შუშის კედლებიდან მკრთალად ბზინავდნენ.

— ხომ ზორბა რამეა! ეს ბანკში ჩამიყარეს. უფრო დიდი მონეტები ამ ბოთლის ყელში არ ეტევა, მაგრამ, დამიჯერეთ, აქ მაინც ბევრი ფულია.

— რას ნიშნავს ეს, მისტერ მარშალო? — ვკითხე.

მისტერ მარშალმა უფრო ფართოდ გაიღიმა:

— ეს ვერცხლით სავსე ბოთლია... საქმე ის არის, რომ მყიდველებმა უნდა სცადონ და გამოიცნონ რამდენი ფულია ბოთლში — კლიენტმა ჯერ ოცდახუთ ცენტად რაიმე უნდა იყიდოს, მერე კი ბედი უნდა სცადოს. რაც უფრო მეტს იყიდის, მით უფრო მეტი შანსი ექნება მოგებისა. მყიდველების დასახელებულ ციფრებს საბუღალტრო დავთარში ჩავწერ, შობის წინა დღეს კი ხმამაღლა წავიკითხავ და ვისი ციფრიც უფრო ახლოს მივა სინამდვილესთან, ეს ბოთლიც იმისი იქნება, ვერცხლის ფულებიანად.

ჰამურაბიმ საზეიმო იერით დაიქნია თავი.

— სანტა-კლაუსად უნდა მოგვაჩვენოს თავი, — თქვა მან, — კეთილ, ყოვლისშემძლე სანტა-კლაუსად. წავალ შინ და დავწერ წიგნს: „რა ოსტატურად მოჰკლეს რუფუს მაკფერსონი“.

ჰამურაბი ზოგჯერ მართლაც წერდა მოთხრობებს, გზავნიდა მათ ჟურნალებში, მაგრამ ყოველთვის უკანვე უბრუნებდნენ.

ძნელია იმის აღწერა, თუ რა საოცრად გაიტაცა ჩვენი ქალაქის მკვიდრთა გონება ამ ერთმა ბოთლმა ვერცხლმა. კარგა ხანია ბიძაჩემის აფთიაქში ამდენი მყიდველი არ მოზღვავებულა.

რამდენიმე ხანში შესულმა ქალმა მისტერ მარშალის წამოწყება სახალხოდ დაგმო, როგორც აზარტული თა· მაშის ნაირსახეობა. თუმცა, მაინცდამაინც დიდი ხმაური არ აუტეხიათ და ზოგიერთი მათგანი ამა თუ იმ საბაბით მაინც შემოდიოდა ჩვენს აფთიაქში, რომ ბედი ეცადა. მოწაფეები ხომ სულ გადაირივნენ ამ ბოთლზე. მეც დიდად პოპულარული გავხდი სკოლაში: ეგონათ უსათუოდ იცის რამდენი ვერცხლის ფულია ბოთლშიო.

— გეტყვით რაშიაც არის საქმე, — ამბობდა ჰამურაბი და ეგვიპტურ სიგარეტს აბოლებდა (ამ სიგარეტებს იგი ფოსტით ნიუ-იორკის ერთ-ერთ ფირმას უკვეთავდა). — აქ სიხარბე კი არ არის მთავარი, როგორც თქვენ ფიქრობთ. არა. ამ საიდუმლოებამ ყველას თავბრუ დაასხა და აი, რატომ: როცა თქვენ ბოთლში ფულებს ხედავთ, განა იმას ფიქრობთ: — აჰა, **ამდენი** იქნებაო. არა, თქვენ ასე ფიქრობთ! ნეტავი **რამდენია** შიგ ფული?! აი, ამაშია მთელი არსი, გასაგებია?!

რაც შეეხება მაკფერსონს, იგი სიბრაზისაგან გულზე სკდებოდა. ყველა ვაჭარი ხომ მთელ იმედებს შობის წინა დღეებზე ამყარებს. ეს რამდენიმე დღე მას საკმაო შემოსავალს აძლევს. მაკფერსონთან კი ამ დროს მყიდველებს ძალითაც ვერ შეათრევდით. მაშინ რუფუსმა ხრიკს მიმართა: გამოძებნა ასეთივე ბოთლი, მაგრამ, რაკი ძუნწი კაცი იყო, ვერცხლის ნაცვლად სპილენძის მონეტებით აავსო. გარდა ამისა, ჩვენი ყოველკვირეული გაზეთის — „დროშების“ რედაქტორს ასეთი რამ მისწერა: „მისტერ მარშალი კუპრით უნდა მოითხუპნოს და ბუმბულში ამოიგანგლოს, რადგან უმანკო ბავშვებს აზარტულ მოთამაშეებად ხდის“. ცხადია, ამის მერე მაკფერსონი მთელმა ქალაქმა სასაცილოდ აიგდო, ყველამ შეიძულა. ასე რომ, შუა ნოემბრისათვის მას სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ თავისი აფთიაქის კარებწინ, ტროტუარზე მდგარიყო და გულგასიებულს მეტოქის აფთიაქში გაჩაღებული მხიარული აურზაურისთვის ეცქირა.

სწორედ ამ დროს ჩვენს აფთიაქში, თავის დასთან ერთად, ვიღაც ცეროდენა ბიჭი მოვიდა. იგი არ იყო ჩვენებური. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ქალაქში არავის უნახავს. ცეროდენა ამბობდა, ინდურ ნაკადულიდან ერთი მილის მოშორებით, ფერმაში ვცხოვრობო, დედაჩემი სულ ოცდაათ კილოს იწონისო; ჩემს უფროს ძმას ვიოლინო აქვს და, თუ ვინმეს სურს, შეუძლია ქორწილში ორმოცდაათ ცენტად დაუკრასო. ისიც გვითხრა: მე ცეროდენა მქვიაო, თუმცა თორმეტი წლისა ვარ, სხვა სახელი არა მაქვსო. ჩემს დას, მიდის, კი დაუყინია, მხოლოდ რვა წლისა გახდიო.

ბიჭუნას სწორად დავარცხნილი მუქი წაბლისფერი თმა და გამხდარი, ქარისაგან აქერცლილი, მუდამ დაძაბული სახე ჰქონდა. მისი მწვანე, საზრიანი თვალები ცქვიტად იყურებოდნენ. ის იყო დაბალი, მოცუცქნული, შეკრული ძარღვების კონა; ეცვა მუდამ ერთი და იგივე წითელი სვიტერი, ლურჯი ტილოს შარვალი და ისეთი უშველებელი ფეხსაცმელი, რომ ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე სულ ბრახაბრუხი გაჰქონდა.

როცა პირველად მოვიდა, წვიმდა. თავზე მიწებებული თმები ქუდს დამსგავსებოდა. ფეხსაცმელებზე წითელი თიხა მიგოზებოდა. ეტყობოდა, სოფლის გზით ევლო. კოვბოის დაუდევარი ნაბიჯებით მარმარილოს დახლს მოადგა, სადაც მე ჭიქებს ვამშრალებდი, მიდი ფეხდაფეხ მოსდევდა.

— გავიგე, თქვენ ფულით სავსე ბოთლი გქონიათ და გინდათ ვინმეს მისცეთ, — თქვა მან, თან პირდაპირ თვალებში მიყურებდა. — თუ ასეა, ჰქენით სიკეთე და ჩვენ მოგვეცით. მე ცეროდენა მქვია, ეს კი ჩემი დაა — მიდი.

მიდი საოცრად დაღვრემილი გოგონა იყო, ძმაზე უფროსი და ოდნავ მაღალიც — ნამდვილი წნელი გახლდათ. მისი მუშტისოდენა ფერმკრთალი სახე საცოდავად გამოიყურებოდა. თმა მოკლე და ნაცრისფერი ჰქონდა. გახუნებული ჩითის კაბა მუხლებსაც ვერ უფარავდა. ჩანდა, რომ კბილებს რაღაც სჭირდა და ამიტომ გაცინებისას ტუჩებს ბებერი ქალივით ჰკუმავდა.

— ბოდიშს ვიხდი, — ვთქვი მე, — მაგრამ ამ საკითხზე მისტერ მარშალს უნდა მიმართოთ.

ბიჭუნა მაშინვე ბიძაჩემთან მივიდა. კარგად მესმოდა, როგორ უხსნიდა ბიძაჩემი, რა უნდა გაეკეთებინა ბიჭუნას, რომ ვერცხლის ფულებით სავსე ბოთლი მოეგო. ცეროდენა ყურადღებით უსმენდა და დროდადრო თავს უქნევდა, მერე ისევ დახლთან მივიდა და სანატრელ ბოთლს ხელი ფრთხილად მოუცაცუნა.

— დიდებული რამეა, არა, მიდი?

— მერედა, მოგვცემენ?!

— არა... ჯერ აი რა — უნდა გამოიცნო რამდენი ფულია შიგ... ამისათვის კი ოცდახუთი ცენტის რაიმე უნდა იყიდო, მხოლოდ ამის მერე დაგრთავენ გამოცნობის უფლებას.

— იფ! ოცდახუთი ცენტი? მერე და სადა გვაქვს მაგდენი ფული? ან სად ვიშოვოთ, ერთი მითხარი!

ცეროდენა ჩაფიქრდა, ნიკაპი მოიქავა.

— ეგ არაფერია, რამეს მოვიფიქრებ. მთავარი ის არის, რომ აუცილებლად უნდა გამოვიცნო, თანაც — ერთი შეხედვით.

რამდენიმე დღის შემდეგ ისინი ისევ მოვიდნენ აფთიაქში. ცეროდენა დახლთან სკამზე შემოსკუპდა და დაბეჯითებით მოითხოვა ორი ჭიქა გაზიანი წყალი — ერთი თავისთვის, ერთიც მიდისათვის. ამჯერად მან თავის ნათესავებზე რაღაც-რაღაცები გვიამბო.

— „ჩვენ კიდევ პაპა გვყავს, დედაჩვენის მამა, იგი კაჯუნია[1]; ინგლისურად უჭირს ლაპარაკი, ჩემი ძმა კი — აი ის, ვიოლინოს რომ უკრავს, სამჯერ იჯდა ციხეში. მისი გულისთვის იძულებული შევიქენით ლუიზიანადან გამოვპარულიყავით — ერთ ბიჭს ეჩხუბა და სამართებლით დასერა.

იქვე მოშორებით მორცხვად მდგარი მიდი, შეშფოთდა.

— ცეროდენა, სულ ტყუილად ლაყბობ ჩვენს ოჯახურ ამბებზე.

—აბა, მოკეტე, მიდი! — შეაწყვეტინა ცეროდენამ და მიდიც მაშინვე გაჩუმდა.

— კარგი გოგოა, — დაუმატა ბიჭუნამ და თავზე ხელი გადაუსვა, — ოღონდ ხმა არ უნდა ამოაღებინო. მიდი, ჩემო კარგო, სურათებიანი წიგნი დაათვალიერე და ნუ ამეტორღიალები ხოლმე. ცეროდენამ საქმეს უნდა მიხედოს.

მთელი მისი საქმე კი ის იყო, რომ ერთი კარგად შეეხედა ბოთლისათვის. ნიკაპით ხელს დაყრდნობილი დიდხანს, დიდხანს ხარბად უყურებდა ბოთლს.

1 კაჯუნა — ევროპულ-ზანგურ-ინდიელური წარმოშობის პატარა ეთნიკური ჯგუფი.

— ლუიზიანაში ერთმა ქალმა მითხრა, შენ შეგიძლია ისეთი რამ დაინახო, რასაც სხვა ვერ ხედავსო. ეს იმიტომ, რომ მე ქუდბედიანი ვარ.

— სულ ერთია, მაინც ვერაფრით ვერ გამოიცნობ, რამდენი ფულია ბოთლში, — ვუთხარი მე. — უმჯობესია ალალბედად დაასახელო რაიმე ციფრი, ვინ იცის, იქნებ ზუსტად დაემთხვეს.

— ჰო, აბა, ბიჭო! — თქვა ბიჭუნამ. — ასე არაფერი გამოვა, მე არასგზით არ უნდა შევცდე. ჩემი აზრით, ამისათვის საჭიროა ვერცხლის ფულის სულ თითო-თითოდ დათვლა.

— აბა, დათვალე!

— რა უნდა დათვალო? — გაისმა უცებ ჰამურაბის ხმა, რომელიც ის-ის იყო აფთიაქში შემოვიდა და დახლის წინ სკამზე ჩამოჯდა.

— ამ ღლაპს სათითაოდ უნდა დათვალოს, რაც ბოთლში ფულია, — ავუხსენი მე.

ჰამურაბიმ ჩაიხითხითა:

— ამისათვის, ჩემო შვილო, შენი თვალები რენტგენივით ყველაფერს გამჭოლ უნდა ხედავდნენ.

— არაფერიც! ამისათვის საჭიროა ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული. ასე ერთმა ქალმა მითხრა ლუიზიანაში. ის ჯადოქარი იყო და მე მაღმერთებდა. ერთხელ უნდოდა ხელში ავეყვანე, მაგრამ დედაჩემმა არ დაანება; ჰოდა, იმან დაწყევლა დედა. ამიტომაც ახლა დედაჩემი მხოლოდ ოცდაათ კილოს იწონის.

— ძაა-ძა-ლიი-ან სა-ინტერესოა, — თქვა ჰამურაბიმ და ეჭვიანად შეხედა ცეროდენას.

მიდი მოგვიახლოვდა. ჟურნალი „ეკრანის საიდუმლოებები“ გაშლილი ეჭირა, მერე ცეროდენას ერთ-ერთი სურათი აჩვენა.

— რა მშვენიერი ვინმეა, არა?! ერთი შეხედე, შეხედე, ცეროდენა, რა ლამაზი კბილები აქვს, სულ ჩაწიკწიკებული.

— კარგი ერთი, ნუ გამიჭირე საქმე! — უპასუხა ბიჭმა.

როცა ისინი წავიდნენ, ჰამურაბიმ ერთი ბოთლი „ნეჰი“ მოითხოვა და პირდაპირ ბოთლიდან დაიწყო სმა, თან სიგარეტს აბოლებდა.

— ნუთუ თქვენ ვერ გაიგეთ, რომ ამ ბიჭს თავში ოფოფები ჰყავს? — თქვა მან უცებ. მის ხმაში რაღაც გაოცება იგრძნობოდა.

ჩემი აზრით, სჯობს შობა პატარა ქალაქში გაატარო, იქ უფრო ადრე იგრძნობა დღესასწაულის მოახლოება. დეკემბრის დადგომისთანავე სახლების კარები გვირგვინებით მოირთვება ხოლმე, ვიტრინებში ქაღალდის ფერადი ფარნები კამკამებს და ნაირ-ნაირ შუქზე ქარსის ფიფქები ბზინავს. ბავშვები ტყეებში დაძვრებიან და იქიდან სურნელოვანი ნაძვის ხეები მოაქვთ. დიასახლისები საშობაო ღვეზელს აცხობენ, ხსნიან ქილებს, თავზე მურაბას ასხამენ ნამცხვრებს და ბოთლებს ტკბილი სასმელით ავსებენ. შობის დღეს მოედანზე, სასამართლოს შენობის წინ, დიდი ნაძვის ხე ვერცხლის ბრჭყვიალა სირმებით და ფერად-ფერადი ნათურებით არის მორთული. დაღამებისთანავე ეს ნათურები ვარსკვლავებივით აციმციმდებიან. პროტესტანტულ ეკლესიიდან საშობაო გალობა ისმის. ეს გუნდი ამ გალობისათვის ყოველ წელს ემზადება. ამ დღეს ყველას ბაღჩაში იაპონური კამელიები ჩახჩახებს.

ერთადერთი ადამიანი, ვისთვისაც თითქოს სულ ერთი იყო ასეთი საზეიმო განწყობილება, ცეროდენა გახლდათ. ის მხოლოდ თავისი საქმით იყო გართული: ბოთლში ჩაყრილ ფულს გასაოცარი დაჟინებითა და გულმოდგინებით ითვლიდა. აფთიაქში ყოველდღე მოდიოდა, ჩააშტერდე-

ბოდა ბოთლს, მოჭმუხნიდა წარბებს და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. პირველად ამ ამბავს მოჯადოებულივით ვუყურებდით, მაგრამ თანდათან ყველას მოგვბეზრდა და აღარ ვაქცევდით ყურადღებას. ბიჭუნა არაფერს არ ყიდულობდა, ალბათ ჯერ ოცდახუთი ცენტი ვერ მოეგროვებინა, ხანდახან ჰამურაბის თუ გამოელაპარაკებოდა, რომელიც მისთვის ზოგჯერ ერთი ცენტის დაშაქრულ თხილს ყიდულობდა.

— თქვენ წინანდებურად ფიქრობთ, რომ ამ ბიჭუნას თავში ოფოფები ჰყავს? — ვკითხე ერთხელ ჰამურაბის.

— კარგად არა ვარ დარწმუნებული, — თქვა მან, — მაგრამ, როცა გავარკვევთ, მაშინ ზუსტად გეტყვი. ჩემი აზრით, იგი შიმშილობს. მოდი, წავიყვან კაფე „ცისარტყელაში“ და ერთი მაგრა გამოვაძღობ შემწვარი ხორცით.

— მე მგონი, ის თქვენგან ოცდახუთი ცენტის მიღებას ამჯობინებდა.

აქ-მეთქი, მაგრამ საკმარისი იყო ასე გამეფიქრა, რომ ბიჭუნა უმალ გამოერკვეოდა და რაღაც ამდაგვარს იტყოდა:

— გესმის, რა კარგი იქნება, ამაში 1913 წლის მონეტა რომ აღმოჩნდეს! ერთმა ბიჭმა მითხრა, ასეთი მონეტა ორმოცდაათი დოლარი ღირსო.

ან კიდევ:

— მიდი რა თავმომწონე ლედი იქნება, ფილმში რომ ეთამაშა, არა? ეს კინოს ქალები უამრავ ფულს ხვეტავენ, მაშინ ჩვენ აღარ მოგვიწევდა მთელი სიცოცხლე კომბოსტოს ლეჭვა, მაგრამ, მიდიმ თქვა, არც ერთ ფილმში არ გადამიღებენ, ვიდრე კარგ კბილებს არ გავიკეთებო.

მიდი ყოველთვის როდი მოდიოდა ძმასთან ერთად. როცა იგი არა ჩანდა, ცეროდენა თავის თავს არა ჰგავდა, თითქოს რაღაცის ეშინოდა და მალე გაგვეცლებოდა ხოლმე.



— არა, ერთი კარგი მოხრაკული! — აი, რა არის მისთვის საჭირო, ისე კი, აჯობებდა, ამ ტიალ ბოთლისთვის თავი რომ გაენებებინა. საბრალო ბიჭუნა ისეთი მგრძნობიარეა, ისეთი თავისებური...

რომ ვერ მოიგოს ეს ერთი ბოთლი ვერცხლი?! მაშინ მაგის ცოდვაში უნდა გავეხვიო, ის ხომ მე შევაგულიანე. არ ვიცი რა ვქნა, ღმერთმანი!..

მე კი, გულახდილად რომ გითხრათ, მაშინ მეგონა, ცეროდენა თავს იქცევს ვერცხლის ფულებით სავსე ბოთლით-მეთქი. მისტერ მარშალს ებრალებოდა იგი, აფთიაქში შემოსული ბიჭები სულ დასცინოდნენ და აჯავრებდნენ ცეროდენას, ის კი თითქოს არც ამჩნევდა მათ, ამიტომ მალე იმათაც გაანებეს თავი. რა დროსაც არ უნდა შემოსულიყავით აფთიაქში, დაინახავდით, როგორ იჯდა ცეროდენა დახლთან და ბოთლს მიშტერებოდა. თავისი საქმით ისე იყო გართული, რომ ზოგჯერ ასეთი შეგრძნებაც კი მქონდა — იქნებ იგი სრულებითაც არა ზის

ჰამურაბიმ პირობა შეასრულა — ცეროდენა კაფეში წაიყვანა და შემწვარი ხორცით გაუმასპინძლდა.

— ვერაფერს იტყვი, სიმპათიური კაცია ჰამურაბი, თუმცა უცნაურ რაღაცებს კი იგონებს. სულ იკვეხნის, ეგვიპტეში რომ ვცხოვრობდე, მეფე ვიქნებიო, — ამბობდა მეორე დღეს ცეროდენა.

ჰამურაბიმ კი ამის მერე ასეთი რამ გვითხრა:

— ბიჭუნა ძალიან დარწმუნებულია, რომ მოიგებს. რა საცოდაობაა, პირადად მე ეს ამბავი, — მიათითა ვერცხლის ფულით სავსე ბოთლზე, — თანდათან რაღაც ზიზღსა მგვრის. საშინელებაა იმედის გაცრუება. ვნანობ, რომ მეც ჩავები ამ საქმეში.

ჩვენი აფთიაქის სტუმრები ყველაზე მეტს იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ ვინ რას იყიდდა მოგებული ფულით. ზოგი ბირმინგამში წასვლას და იქ თმის დახვევას აპირებდა, ზოგი ძველებურ პიანინოზე ოცნებობდა, ზოგი შოტ-



ლანდიურ ჯუჯა ცხენზე, ზოგი — ოქროს სამაჯურზე, ზოგი კი — სიცოცხლის დაზღვევაზე.

ერთ დღეს მისტერ მარშალმა ცეროდენას ჰკითხა, რაში დახარჯავდი ფულს, რომ მოიგოო.

— ეს საიდუმლოა, — განუცხადა ცეროდენამ და, რამდენიც არ ვეცადეთ გაგვეგო მისი საიდუმლოება, ვერაფერს გავხდით. ისე კი აშკარა იყო, რომ რაღაცისათვის ძალიან-ძალიან სჭირდებოდა ბიჭუნას ფული.

ჩვენს მხარეში ნამდვილი ზამთარი მხოლოდ იანვრის ბოლოს იწყება, თანაც საკმაოდ ხანმოკლე და თბილი იცის. მაგრამ იმ წელს შობამდე ერთი კვირით ადრე უჩვეულოდ აცივდა. მაშინდელი სუსხიანი დღეები ახლაც ახსოვთ. ცას ტყვიის ფერი ედო და მოქუფრული იყო, როგორც ქარიშხლის წინ. მზე უსიცოცხლო მთვარეს ჰგავდა. მძაფრი ქარი უბერავდა და ჰაერში მოფრიალე შემოდგომის გამხმარი ფოთლები ფერდაკარგულ მიწაზე ეცემოდა. მოედანზე, სასამართლოს შენობის წინ, უშველებელ ნაძვის ხეს ქარმა ორჯერ მოჰგლიჯა საღღესასწაულო მორთულობა.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა ქოხებში, სადაც სილატაკე სუფევდა, საღამოობით მეზობლები იყრიდნენ თავს და დროებით მაინც რომ დაევიწყებინათ სიცივე, სიბნელეში ათასნაირ ამბებს ჰყვებოდნენ. ფერმერები ტომრებს აფარებდნენ გათოშილ ნარგავებს და ლოცულობდნენ. ისე, ზოგიერთი სოფლელისათვის ცივი ამინდები ხელსაყრელი აღმოჩნდა. კლავდნენ ღორებს, ძეხვს ამზადებდნენ და ბაზარზე გაჰქონდათ გასაყიდად.

ვულფორდის მაღაზიის შესასვლელთან წითელანაფორიანი სანტა-კლაუსი იდგა — ეს მისტერ ჯადკინსი გახლდათ, ქალაქის ერთი ლოთბაზარა. წვრილშვილის პატრონი იყო და, რასაკვირველია, ყველას უხაროდა, რომ იგი შობის დღეს იმდენად მაინც იყო ფხიზელი, თუნდაც ერთი დოლარი ეშოვნა. ეკლესიაში რამდენჯერმე ჩატარდა საზეიმო საღამო, ერთ ასეთ საღამოზე მისტერ მარშალი და რუფუს მაკფერსონი პირისპირ შეეჯახნენ ერთმანეთს. ძალიან კი წაკინკლავდნენ, მაგრამ საქმე ცემატყეპამდე არ მისულა...

როგორც ადრე მოგახსენეთ, ცეროდენა ფერმაში ცხოვრობდა, დაახლოებით ინდიელების ნაკადულიდან ერთი მილის დაშორებით, ესე იგი ქალაქიდან სამი მილის იქით. საკმაოდ დიდი და მოსაწყენი გზა იყო. ბიჭუნა ყოველდღე მოდიოდა ჩვენთან და იჯდა მანამდე, ვიდრე აფთიაქი არ დაიკეტებოდა. დღე ძალიან მოკლე იყო და, როცა ცეროდენა შინ მიდიოდა, უკვე საკმაოდ ბნელოდა. ხანდახან აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ხელოსანს ბიჭუნა მანქანით მიჰყავდა. იგი მას ფერმისკენ მიმავალ გზაზე ჩამოსვამდა და იქიდან ცეროდენა უკვე ფეხით გაუდგებოდა გზას. ცეროდენას სახე ყოველთვის ნაღვლიანი და დაღლილი ჰქონდა. ჩვენთან რომ მიუიდოდა ხოლმე, სიცივისაგან წიწილასავით კანკალებდა; არა მგონია, წითელი სვიტერისა და ლურჯი შარვლის მეტი რაიმე თბილი სცმოდა.

შობამდე სამი დღით ადრე მან მოულოდნელად განაცხადა:

— მორჩა, უკვე ვიცი რამდენი ფულია ბოთლში.

ეს სიტყვები ისეთი ღრმა რწმენით იყო ნათქვამი, შეუძლებელი იყო ეჭვი შეგვპარვოდათ.

— თუ მასეა, გვითხარი, შვილო, — წამოიწყო იქვე მჯდომმა ჰამურაბიმ. — არა მგონია ეგ იცოდე და, საერთოდ, ტყუილუბრალოდ იმტვრევ თავს!

— თქვენ ნუ მასწავლით, მისტერ ჰამურაბო, თავადაც კარგად მესმის ყველაფერი. ლუიზიანაში ერთმა ქალმა იცით რა მითხრა?..

— ჰო, ვიცი, ვიცი, მაგრამ დროა ეგ დაივიწყო. შენს ადგილას, მეორედ აქ აღარ მოვიდოდი და ამ ოხერ ბოთლს თავიდან ამოვიგდებდი.

— ჩემი ძმა ამაღამ ქორწილში უკრავს; აუცილებლად მომცემს ოცდახუთ ცენტს, — ჯიუტად თქვა ცეროდენამ, — ხვალ კი ბედი უნდა ვცადო.

ასე რომ, მეორე დღეს, როცა ცეროდენა და მიდი აფთიაქში მოვიდნენ, მართლა ავღელდი. ბიჭს ნამდვილად ჰქონდა ოცდახუთი ცენტი. ყოველი შემთხვევისათვის ფული წითელ ცხვირსახოცში გამოეკრა. ხელიხელჩაკიდებული ის და მიდი მინებიანი კარადის წინ მიმოდიოდნენ და ჩურჩულით თათბირობდნენ, თუ რა ეყიდათ. ბოლოსდაბოლოს სათითურის ოდენა ფერადი ოდეკოლონის ფლაკონი აირჩიეს.

მიდიმ იქვე გახსნა ოდეკოლონის პატარა ბოთლი და თავზე დაისხურა.

— დედაა! რა საამო სურნელი აქვს, ღმერთო ჩემო! ჩემ სიცოცხლეში ასეთი არაფერი მინახავს. ცეროდენავ, ძამიკო, მოდი, შენც მოგასხურო.

მაგრამ ცეროდენამ ხელი აუკრა.

ვიდრე მისტერ მარშალი საბუღალტრო დავთარს ამოიღებდა, რომელშიც ყველას პასუხებს წერდა, ცეროდენა დახლთან მივიდა, ვერცხლით სავსე ბოთლს ხელი დაავლო და ალერსიანად გულში ჩაიხუტა. აღელვებულს თვალები გაუბრწყინდა, ლოყები აენთო, ყველა, ვინც აფთიაქში იყო, მის ირგვლივ მოგროვდა, მიდი კი მოშორებით იდგა, ფეხს იფხანდა და ოდეკოლონს ყნოსავდა. ჰამურაბი იქ აღარ იყო.

მისტერ მარშალმა ფანქრის წვერი ენით დაასველა და გაიღიმა:

— აბა, ბიჭუნი, თქვი, რამდენია?!

ცეროდენამ რაც შეიძლებოდა ღრმად ჩაისუნთქა.

— სამოცდაჩვიდმეტი დოლარი და ოცდათხუთმეტი ცენტი — წამოიძახა მან.

ის, რომ მრგვალი ციფრი არ დაასახელა, უკვე ჩვეულებრივ პასუხს არა ჰგავდა, — სხვები აუცილებლად მრგვალ ციფრებს ასახელებდნენ.

მისტერ მარშალმა საზეიმო ხმით გაიმეორა პასუხი და დავთარში ჩაწერა.

— კი მაგრამ, როდის გამაგებინებთ, მოვიგე თუ არა?!

— შობის წინადღეს.

— ესე იგი ხვალ, არა?!

— ჰო, ესე იგი ხვალ, — ვითომც და აქ არაფერიაო, ისე უპასუხა მისტერ მარშალმა, — მოდი ხვალ, ოთხი საათისათვის.

ღამე ვერცხლის წყალმა თერმომეტრში კიდევ უფრო დაიწია. გათენებისას კი უცებ კოკისპირული წვიმა დაუშვა, როგორც გაზაფხულზე იცის ხოლმე. ხოლო დილით ქალაქი უკვე მზის შუქში ელავდა. ხეებზე ყინულის თეთრი ლოლუები ბზინავდა, ჭირხლისაგან ფანჯრები ხალიჩებივით მოხატულიყო. მისტერ ჯადკინსი უთენია ამდგარიყო და არავინ იცოდა, რატომ დახეტიალობდა ქუჩა-ქუჩა და პატარა ზარს არიწკინებდა, თან ჩუმ-ჩუმად ბოთლიდან ვისკის წრუპავდა და უმალვე ჯიბეში მალავდა. ნიავიც კი არ უბეროვდა, კვამლი სახურავის მილებიდან ზანტად იკლაკნებოდა და წყნარ, გათოშილ ცაში ადიოდა. ათი საათისათვის პროტესტანტული ეკლესიის ზარი მთელი ხმით რეკავდა. ქალაქის მოედანზე პატარა ბიჭებს შემზარავი ნიღბები გაეკეთებინათ და ერთმანეთს ყიჟინით დასდევდნენ.

შუადღისას აფთიაქში, საზეიმო სამზადისში მოსახმარებლად ჰამურაბი მოვიდა. მერე ბიძაჩემმა დახლიდან ვერცხლის სავსე ბოთლი გადმოიღო, გულდასმით გაწმინდა და მაგიდაზე დადგა. შემდეგ სავარძელში გაიჭიმა და, რამენაირად დრო რომ მოეკლა, ბოთლის ყელზე შემოხვეულ მწვანე, წებოვან თასმას ხან ხსნიდა და ხან კრავდა. მე და ჰამურაბიმ სარკეები გავაკრიალეთ, იატაკი დავგავეთ, კარადებს მტვერი გადავმწმინდეთ, ჭერზე გავაბით ძაფზე აკინძული ფერადი, ტალღისებურად დაკეცილი ქაღალდები. ასე რომ, როცა მუშაობა დავამთავრეთ, აფთიაქი მშვენივრად გამოიყურებოდა, მაგრამ ჰამურაბმა ნაღვლიანად გადაავლო თვალი ყველაფერს და განაცხადა:

— ახლა კი, წავალ.

— როგორ, შენ არ დარჩები?! — სწრაფად ჰკითხა მისტერ მარშალმა.

— არა, არა, — უპასუხა ჰამურაბიმ და თავი ნელა გააქნია, — არ შემიძლია იმ ბიჭუნას სახის ყურება, რაც არ უნდა იყოს, დღესასწაულია და მინდა თავდავიწყებამდე ვიმხიარულო. მაგრამ, შევძლებ კი, როცა სინდისი ასე მაწუხებს? დალახვროს ღმერთმა, ალბათ ჯავრით აღარც დამეძინება.

— როგორც გნებოს, — თქვა მისტერ მარშალმა და მხრები აიჩეჩა, თუმცა ეტყობოდა, რომ თვითონაც ძალიან დადარდიანებული იყო, — რას იზამ, ასეთია ცხოვრება. ვინ იცის, იქნებ მოიგოს კიდეც.

ჰამურაბიმ მძიმედ ამოიოხრა.

— რა ციფრი დაასახელა მან?

— სამოცდაჩვიდმეტი დოლარი და ოცდათხუთმეტი ცენტი, — ვუპასუხე მე.

— არა, ეს რაღაც ფანტასტიკურია! — წამოიყვირა ჰამურაბიმ, მისტერ მარშალის გვერდით სავარძელში ჩაეშვა, ფეხი ფეხზე გადაიდო და სიგარეტი გააბოლა, — იქნებ რაიმე ტკბილეული გვგულებათ, თორემ პირში ისეთი საზიზღარი გემო მაქვს, რომ მეტი არ შეიძლება.

დანიშნული დროც ახლოვდებოდა. სამივენი მაგიდას ვუსხედით, სამივეს გული გვიწუხდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთისათვის სიტყვა არ გვითქვამს. მოედანზე მოთამაშე ბავშვები მიიფანტ-მოიფანტნენ და ახლა მხოლოდ სასამართლოს შენობის კოშკურიდან მოისმოდა საათის ხმა. აფთიაქი დაკეტილი იყო, მაგრამ ხალხი ტროტუარზე მიდი-მოდიოდა და ვიტრინაში იყურებოდა. სამ საათზე მისტერ მარშალმა მიბრძანა კარები გამეღო. ოცი წუთის შემდეგ აფთიაქში ნემსიც არ ჩავარდებოდა. ყველა სადღესასწაულოდ იყო გამოწყობილი.

მოედანზე ცხენებშებმული ფურგუნები და ფორდის მანქანები ჩამწკრივდნენ — მოგრიალდნენ ფერმერები თავიანთი ჯალაბობით. ირგვლივ ხმაურობდნენ, იცინოდნენ, ენამახვილობდნენ. ორი-სამი შუახნის ქალი მათზე უფრო ახალგაზრდა კაცებს უსაყვედურებდნენ — რატომ ჯიკაობთ და ილანძღებითო. ისე კი ფეხი არავის მოუცვლია. გვერდითა შესასვლელთან ზანგები შეჯგუფულიყვნენ და ყველაზე უფრო ერთობოდნენ. რაკი გართობის საშუალება მიეცათ, ყველა ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა ეს შემთხვევა. თითქმის ქალაქის ყველა უბნიდან იყვნენ მოსულნი, გარდა დავრდომილებისა და რუფუს მაკფერსონისა. ირგვლივ მივიხედ-მოვიხედე. ცეროდენა არსად ჩანდა.

მისტერ მარშალმა ჩაახველა, ტაში შემოჰკრა და ყურადღება ითხოვა. როცა ხმაური მიწყნარდა და ხალხს მოთმინების ფიალა აევსო, ბიძაჩემმა ისე დაიყვირა, თითქოს აუქციონზე ყოფილიყოს:

— ახლა კი მისმინეთ ყველამ. აი ამ კონვერტში, — მაღლა ასწია მაგარი ქაღალდისაგან გაკეთებული კონვერტი, — დევს ფურცელი. ფურცელზე სწერია პასუხი, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ღვთისა და პირველი ნაციონალური ბანკისთვის არის ცნობილი. ხა, ხა, ხა... ამ დავთარში კი, — მაღლა ასწია სქელი საბუღალტრო დავთარი, მე ვწერდი ციფრებს, რომლებსაც თქვენ ასახელებდით. შეკითხვები გაქვთ?!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— კეთილი. ახლა, ვინმე თქვენგანი თუ მომეხმარება?..

არავინ განძრეულა; თითქოს ყველა გადაულახავმა შიშმა შეიპყრო; ისინიც კი, ხალხის წინაშე თავის გამოჩენა რომ უყვარდათ. ნაბიჯის გადმოდგმასაც ვერ ბედავდნენ.

უცებ ვიღაცამ ხმამაღლა დაიძახა:

— აბა, ერთი ვცადო, ქალბატონო, თუ შეიძლება გზა მომეცით.

ეს იყო ცეროდენა, რომელიც ბრბოში გზას ძლივს იკაფავდა. მას უკან მოჰყვებოდნენ მიდი და ერთი აყლა-

ყუდა, თვალებდასიებული ყმაწვილი — ალბათ მათი უფროსი ძმა, ვიოლინოზე რომ უკრავდა ქორწილებში. ცეროდენა ჩვეულებრივად იყო ჩაცმული, მხოლოდ სახე სიწითლემდე გაეხეხა და თავის ბრახუნა ფეხსაცმლები ისე გაეწმინდა, რომ სულ ლაპლაპი გაჰქონდა, გაგლესილი თმები კანზე დაწებებოდა.

— მოგისწარით, არა?! — ქშენით იკითხა ბიჭუნამ.

პასუხის ნაცვლად მისტერ მარშალმა უთხრა:

— ალბათ გინდა, მოგვეხმარო, ხომ?

ცეროდენა ჯერ შეიშმუშნა, მერე მტკიცედ დაუქნია თავი.

— ხომ არავის გაქვთ რაიმე ამ ყმაწვილის საწინააღმდეგო?

კვლავ სრული სიჩუმე იდგა. მისტერ მარშალმა კონვერტი ცეროდენას გადასცა. ბიჭუნამ გამოართვა, მაგრამ, ვიდრე გახსნიდა, ყურადღებით შეათვალიერა და ქვედა ტუჩზე იკბინა. ხალხი დუმდა, მხოლოდ აქა-იქ ვინმე თუ ჩაახველებდა, ან კიდევ მისტერ ჯადკინსის ზარის სუსტ წკრიალს თუ გაიგონებდით. დახლს მიყრდნობილი ჰამურაბი ჰერს შესცქეროდა. მიდი გვერდულად უცქეროდა ძმას, მისი მზერა არაფერს არ გამოხატავდა, მაგრამ როცა ცეროდენამ კონვერტის გახსნა დაიწყო, „ოჰ!" — წამოიძახა გოგონამ.

ცეროდენამ კონვერტი გახსნა და ვარდისფერი ქაღალდი ამოიღო. იგი ისე ფრთხილად ეჭირა, როგორც ძალზე სათუთი რამ, თან თავისთვის რაღაც ციფრი წაიჩურჩულა. უცებ, გაფითრდა და თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ჰეი, ბიჭო, თქვი რაღა! — დაიღრიალა ვიღაცამ.

მაშინ ცეროდენასთან ჰამურაბი მივარდა და ქაღალდი გამოსტაცა. ჩაახველა და, ის იყო კითხვა უნდა დაეწყო, რომ სახე სასაცილოდ დაელმიჭა.

— ოჰ, ღვთისმშობელო! — ესღა ამოიოხრა.

— ხმამაღლა! ხმამაღლა! — გაისმა გაბრაზებული ხმები.

— თაღლითობაა! — წამოიყვირა ჯადკინსმა, რომელიც ამასობაში საკმაოდ გამომთვრალიყო. — საზიზღარი გაიძვერობაა! ამას ბრმაც კი ხედავს!

თითქოს ქარიშხალი ამოვარდაო, ღრიანცელისა და სტვენისაგან ყველაფერი აზანზარდა.

ცეროდენას ძმა ფიცხად მოტრიალდა ხალხისკენ და მუშტით დაემუქრა:

— აბა, ხმა გაკმინდეთ, ყეყეჩებო, თორემ ისეთ დღეს დაგაყრით, რომ თავები სულ საზამთროსავით გაგიხდეთ.

— მოქალაქენო! — დაიყვირა ქალაქის მერმა მოუესმა, — დღეს, ხომ შობის წინადღეა, ესე იგი, თქვენ ყველანი...

ამ დროს მისტერ მარშალი სკამზე შეხტა და დაიწყო ფეხით ბრახუნი, ტაშისცემა, ვიდრე შედარებით წესრიგი არ დამყარდა. აქვე უნდა ავღნიშნოთ ის გარემოებაც, რომ რუფუს მაკფერსონს, როგორც შემდეგ გამოირკვა, საგანგებოდ დაუქირავებია ჯადკინსი, რომ მთელი ეს ალიაქოთი აეტეხა.

როცა ხალხი საბოლოოდ დაშოშმინდა, ვარდისფერი ქაღალდი ჩემს ხელში გაჩნდა, — თვითონ არ ვიცი, როგორ მოხდა ეს.

მე მაშინვე წამოვიძახე:

— სამოცდაჩვიდმეტი დოლარი და ოცდათხუთმეტი ცენტი.

აღელვებისაგან არ გამახსენდა, რომ ეს სწორედ ის ციფრი იყო, წინადღით ცეროდენამ რომ დაასახელა, და მხოლოდ მაშინ მოვედი გონს, როცა მისი ძმის გახარებული ყვირილი გავიგონე.

გამარჯვებულის სახელმა ერთ წუთში შემოირბინა აფთიაქი და ჩურჩულმა, როგორც ქარიშხლის პირველმა ამოსუნთქვამ, მთელ ხალხს გადაუარა თავზე.

თვითონ ცეროდენასათვის რომ შეგეხედათ, ნამდვილად შეგეცოდებოდათ. ისე სლუკუნებდა, თითქოს სასიკვდილოდ ყოფილიყოს დაჭრილი, მაგრამ, როდესაც ჰამურაბიმ იგი მხრებზე შეისვა, რომ ყველას დაენახა, ბიჭუნამ სახელოთი სწრაფად მოიწმინდა ცრემლი და ღიმილად დაიღვარა.

— მოტყუება! აშკარა მოტყუება! — კვლავ წამოიძახა ჯადკინსმა, მაგრამ მისი ხმა მქუხარე ტაშმა და მხიარულმა შეძახილებმა ჩაახშო.

მიდიმ ხელი ხელში მტაცა.

— კბილები! — დაიკივლა გოგონამ, — ახლა მე კბილები მექნება!

— რა კბილები?! — ვკითხე გაოცებულმა.

— კბილებს ჩავისვამ; აი, რაში დავხარჯავთ მაგ ფულს. ახლა მე თეთრი, ლამაზი კბილები მექნება.

მე კი მაშინ მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებდა — როგორ გამოიცნო ცეროდენამ?

— ჰეი, მიდი, ერთი მითხარი, — შევეხვეწე გოგონას, — თუ ღმერთი გწამს, მითხარი, საიდან იცოდა შენმა ძმამ, რომ ბოთლში ზუსტად სამოცდაჩვიდმეტი დოლარი და ოცდათხუთმეტი ცენტი იყო?

მიდიმ გაოცებით შემომხედა.

— მე მეგონა, ცეროდენას ეს ნათქვამი ჰქონდა შენთვის, — მიპასუხა მან სრულიად სერიოზულად — ითვლიდა!

— კი მაგრამ, როგორ?! როგორ?!

— ო, ღმერთო ჩემო! შენ რაო, არ იცი როგორ ითვლიან ხოლმე?

— უბრალოდ, ითვლიდა და მეტი არაფერი?

— ჰო, ცოტა ილოცა კიდეც, — თქვა გოგონამ ცოტახნის ფიქრის მერმე და ძმისკენ დაიწყო გზის გაკვლევა, ბოლოს სწრაფად მოიხედა და მომაძახა: — ოჰ, მართლა, კიდევ ის, რომ ცეროდენა ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადა.

ამ გამოცანის უფრო ჭკვიანური ახსნა ვერც სხვებისაგან გავიგონე. შემდგომში, როდესაც ცეროდენას ეკითხებოდნენ, როგორ მოახერხეო, იგი უცნაურად გაიცინებდა ხოლმე და სიტყვას ბანზე აგდებდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ცეროდენა თავის ოჯახთან ერთად სადღაც ფლორიდაში გადაბარგდა და მისი აღარაფერი გაგვიგონია.

ინგლისურიდან თარგმნა
**ნიკოლოზ კანჭოშვილმა.**



# იცნობთ თუ არა მშობლიურ მხარეს?

## პასუხი № 4-ში მოთავსებულ კითხვებზე



# გურჯაანის ტაძარი

ჟამთა სიავეს თავდაღწეული ქართული ხუროთმოძღვრების ყოველი ძეგლი, ისეთივე გულისხმიერსა და მზრუნველ ყურადღებას მოითხოვს, როგორსაც ჩვენი ერის ისტორიული მატიანის ყოველი ფერგადასული ფურცელი. ჩვენდა სასიხარულოდ მსგავსი არაერთი ძეგლი მოღწეულა დღემდე.

წინამდებარე წერილში ჩვენ ვსაუბრობთ ერთ-ერთ ასეთ ძეგლზე. ე. წ. კახთუბნის, ანუ გურჯაანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარზე. რედაქციაში შემოსული წერილებიდან ჩანს, რომ ამ ძეგლს ცოტანი თუ იცნობენ, ხოლო ვინც იცნობს, ძალზე ზოგადად.

იგი მდებარეობს „კახთუბნის" ტყით დაბურულ ხეობაში, დღევანდელ გურჯაანის რკინიგზის სადგურის სამხრეთით, ერთ-ნახევარი, ორი კილომეტრის დაშორებით. აქედან წარმოდგება ტაძრის ეს სახელწოდებაც. ამჟამად, ტაძრის ირგვლივ ტყე გაუკაფავთ და ნაგებობა შორიდანვე კარგად მოჩანს. იგი მნახველის აღტაცებას იწვევს თავისი მაშტაბურობით და ქართული ხუროთმოძღვრებისათვის უჩვეულო ორი გუმბათით.

ნაგებობას ჩვენამდე შედარებით სრული სახით მოუღწევია. მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგა ხნის წინათ გაუკაცრიელებულა, XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის — ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში („აღწერა სამეფოსა საქართველოისა"), ირკვევა, რომ იმხანად ტაძარი მოქმედი ყოფილა, ჰყოლია თავისი მრევლი და წინამძღვარიც. წერილობით წყაროებში ძეგლის შესახებ სხვა რაიმე ცნობა არ შემონახულა, გარდა ერთი მშვენიერი გადმოცემისა, რომელიც აწ განსვენებულ პროფესორ — ლეონ მელიქსეთბეგს ჩაუწერია. აი, მოკლედ ეს გადმოცემაც:

ძველად კახთუბნის ტაძრისაკენ, რომელშიც ბერები ცხოვრობდნენ, მრავალი მლოცველი მიილტვოდა იქ დასვენებული ღვთისმშობლის „სასწაულმოქმედი" ხატის სათაყვანებლად. ერთხელ, ჟამსა ომიანობისასა, როდესაც გაუგიათ მტრის ურდოების მოახლოება, ტაძარში მყოფი ბერები და მლოცველები მიმალულან. დარჩენილა მხოლოდ ერთი ქალი ძუძუთა ბავშვით. შეძრწუნებული ქალი თავისი ჩვილით თურმე აქეთ-იქით აწყდებოდა. ის იყო, მომხდურნი ტაძარში უნდა შევარდნილიყვნენ, რომ ერთ-ერთი კედელი გადაიხსნა და შეიფარა უმწეო ქალი ბავშვითურთ. ცოტა დრო გასულა და ქალს ძუძუთა ტკივილი უგრძვნია, რომელთაგან მალე რძე წამოსვლია და თანდათან გაუჟღენთავს კედელი. ამის შედეგად ტაძარში ნესტი გაჩენილა. ამ დროიდან მოკიდებული, როგორც კი ქალს ძუძუ გაუშრებოდა, ან რძის უკმარობა შეექმნებოდა, თურმე კახთუბნის ძველ ტაძარში მიჰყავდათ სამკურნალოდ. სნეული, თითით მოჩიჩქნიდა ტაძრის სველ კედელს და მისგან გამონაჟონ მოთეთრო წვეთებს შესვამდა და ამგვარად, ინკურნებოდა თითქოს. ადგილობრივი მცხოვრებნი დღესაც ჰყვებიან, ტაძარი რძეში გახსნილი კირის ხსნარით არის ნაგებიო. რის გამოც შემდგომ ხანებში მისი განახლება შეუძლებლად მიუჩნევიათ კიდეც.

როგორც ამ თქმულებიდან ჩანს, ტაძარი ძუძუგამშრალ დედების სავედრებელი ყოფილა, ისე, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ, თურმე კიდევ ნახავდა კაცი განკურნების მიზნით ტაძრისა და იქ დაცული ღვთისმშობლის ხატის მოსალოცველად მისულ ქალებს.

ტაძარს არც წარწერები ახლავს, ისე რომ მშენებლობის თარიღის დადგენა, მისი ხუროთმოძღვრული ფორმების ანალიზით ხერხდება. სადღეისოდ ცნობილია, რომ გურჯაანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარი რთული გეგმის მქონე, სამნავიანი და ორიარუსიანი ე. წ. გუმბათოვანი ბაზილიკაა[1]. მისი ცენტრალური ნავი კვადრატული მოხაზულობის სამი მალისაგან[2] შესდგება. კიდური მალების თავზე ტრომპებზე დამყარებული გადახურვა რვაწახნაგა, შეკრული კამარის[3] სახისაა. ცენტრალურ ნავს, მთელ მის სიმაღლეზე, გეგმაში ნალისებური საკურთხევლის აფსიდა ებჯინება. მასთან უშუალოდ დაუკავშირებლად ორსავე მხარეს მოთავსებულია თითო სპეციალური უაფსიდო სამყოფელი. ამათაგან, ჩრდილოეთის მხარისა — ოთხკუთხაა, სამხრეთისა — წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისა. მეორე იარუსის იმავე ადგილებში, მოთავსებულია კარებით გამოცალკავებული, კოლოფი კამარით[4] გადახურული აფსიდიანი ეკვდერები[5]. ამ ეკვდერების გაჩენა, როგორც ლიტერატურაშია მითითებული, მრევლის რიცხობრივმა ზრდამ და ღვთისმსახურების ერთი და იგივე რიტუალის ერთდროულად შესრულებამ განაპირობა. ცენტრალურ ნავს ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთის მხრიდან შემოსდევს — პატრონიკე[6]. იგი ქვედა იარუსში გახსნილია განიერი, მარშის მქონე ნახევარწრიული ფორმის თაღებით. მეორე იარუსის პატრონიკე კი ცენტრალური ნავი-



საგან თითქმის ყრუ კედლით არის გამოყოფილი. აქ მხოლოდ მცირე ზომის სარკმელებია. ჩრდილოეთით ორი, სამხრეთით — სამი. პატრონიკეში მოხვედრა შეიძლებოდა გარედან, დასავლეთის კარიბჭის მხარეზე, წინათ არსებული ღია კიბის საშუალებით. ეს კიბე დასავლეთის კარიბჭის ღია ტერასას[7] აუყვებოდა და აქე უკავშირდებოდა პატრონიკეს. გარდა ამისა, ტაძარში მოხვედრა სამხრეთის



ფასადზე დატანებული კარითაც შეიძლებოდა, სადაც საამისოდ პორტალიანი შესასვლელი იყო ცენტრში, რომლის ორი დიდი ბურჯის ფრაგმენტი დღემდეა შემორჩენილი. თავისებურია ტაძრის კედლების აგების ტექნიკაც. სვეტები კუთხეების აყოლებით გათლილი შირიმის ქვით არის აწყობილი, ხოლო სვეტების ძირითადი ნაწილი რიყის ქვის სწორი წყობით. ბურჯები, კამარები და თაღები კი კვადრატული ფორმის აგურითაა აგებული. ტაძრის ცენტრალური ნავი გვერდით ნავებზე ოდნავ მაღალია. იგი გადახურულია კამარებზე დაყრდნობილი და კრამიტით დაფარული ორფერდა სახურავით. გვერდით ნავებს კი ცალფერდა სახურავი აქვთ. ტაძრის ორი გუმბათი, რომელიც ცენტრალური ნავის განაპირა, კვადრატულ მალებს აგვირგვინებს, ამავე ნავის ორფერდა სახურავზე ოდნავაა აზიდული რვაწახნაგა ყელით. ორივე ეს გუმბათი დაბალი, პირამიდისებრი სახურავითაა დამთავრებული. ამ გუმბათების კვადრატული საფუძველი ცენტრალური ნავის ორფერდა სახურავს ზემოდან ადგას, ხოლო მისი კუთხეები, რომელშიც ტრომპებია მოქცეული, ოდნავ დაქანებული ორფერდა სახურავებით არის დაფარული. ტაძრის გარე ფასადები მეტად სადაა, ყოველგვარი ორნამენტის გარეშე, რაც დამახასიათებელია კახეთის ხუროთმოძღვრებისათვის. ეს შეპირობებული იყო, საშენი მასალის სპეციფიკურობით. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი, რომლის დეკორატიულ გაფორმებაში შიდა სივრცე ნათლად არის ასახული, მცირე სიღრმის, ნიშისებური არეებით. ცენტრალური, მაღალი ნავი გაფორმებულია განიერი და მაღალი ნიშით, რომელიც ზემოთ, ორი, ერთმანეთისაკენ გადაყვანილი კამარით მთავრდება. ამ კამარების შეწყვილებული ქუსლი, ნიშის ცენტრში, საკურთხევლის სარკმლის ზედა ჰორიზონტალურ საპირეზე დაშვებულ, გათლილ შირიმის ქვით ამოყვანილ ვიწრო პილასტრს ეყრდნობა. გვერდითი ნავები აღმოსავლეთ ფასადზე ორ იარუსიანი ნიშებითაა აღნიშნული, რომელნიც ზემოთ ნალისებური თაღებით მთავრდება. ყოველ მათგანში თითო სარკმელია.

როგორც ძეგლის აღწერიდან ვხედავთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რომელი კურორტია ფოტოსურათზე აღბეჭდილი, სად მდებარეობს იგი, რა სამკურნალო თვისებებით არის ცნობილი და, საერთოდ, რა იცით მის შესახებ?

გურჯაანის ტაძარი რთული და თავისებური ძეგლია. იგი უნიკალურია თავისი ხუროთმოძღვრული ფორმებით. ნაგებობაში ნათლად არის ასახული, როგორც ადრე ფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების პირველი პერიოდი, ე. წ. კლასიკური პერიოდის მიღწევები, ასევე, ხსენებული ნაგებობა ხუროთმოძღვრულ თემების — ჯვარგუმბათოვანისა და ბაზილიკურის ურთიერთშერწყმის მაგალითს წარმოადგენს. ხუროთმოძღვარი ცდილობს ამ ორი თემის ურთიერთშეთანხმებით შექმნას ახალი ხუროთმოძღვრული ფორმა, რომელიც დააკმაყოფილებს გართულებულ საღვთისმეტყველო რიტუალის სადღესასწაულო ხასიათს. ახალი მოთხოვნების შესაბამისად, გაჩნდა ტაძრების მაღლივი მისწრაფება. დასასრულ შეიძლება ითქვას, რომ გურჯაანის ტაძარში აისახა როგორც კახეთის გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების პირველი პერიოდის დამახასიათებელი მხარეები, ასევე, მისი შემდგომი განვითარების ნიშნები, რომელთაც შემდგომ გამოკვეთილი და თავისთავადი სახე მიიღეს. ამიტომ გურჯაანის უნიკალური ნაგებობა ქართული ხუროთმოძღვრების პირველი პერიოდიდან, ახალ პერიოდზე გარდამავალი ხანის ძიებათა შედეგად შექმნილი ერთ-ერთი პირველი ძეგლია, და VIII-IX საუკუნით თარიღდება.

1. ბაზილიკა — დაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის გეგმის მქონე ნაგებობა, ბოძების ან სვეტების საშუალებით დაყოფილი სამ ან ხუთ გრძივ ნაწილად (ნავად), რომელთაგან ცენტრალური ჩვეულებრივ, გვერდით ნაწილებზე მაღალი და განიერია.

2. მალი — მანძილი ორ კედელს, სვეტს ან სხვა საყრდენებს შორის.

3. შეკრული კამარა — სათავსის მთელს პერიმეტრზე დაყრდნობილი კამარა.

4. კოლოფა კამარა — კამარის წარმომქმნელი ელიფსური ან კოლოფა მრუდი.

5. ეკვდერი — მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი სათავსი ან მინაშენი, თავისი საკურთხევლით.

6. პატრონიკე — მგალობელთათვის გამოყოფილი ადგილი ეკლესიაში.

7. ტერასა — შენობაზე მიშენებული ღია ან გადახურული ბაქანი.

ირაკლი ჯანდიერი.

# საინტერესო ამბები

## ავტოკალმის თავგადასავალი

ავტოკალმის შესახებ პირველი ცნობა 1650 წლის პარიზის მატიანეში გვხვდება. მემატიანე გვამცნობს, რომ „...ვინმე პარიზელმა საოცარი კალამი გამოიგონა. ეს კალამი რამდენიმე წვეთ მელანს იწოვს და შეიძლება მთელი გვერდი ისე დაწერო, ერთხელაც არ ჩააწო მელანში“.

1705 წლის ამავე მატიანეში ვკითხულობთ: „...12 თებერვალს ფ. ბიონმა მეფესა და მის ამალას უჩვენა მუდმივი კალმის უნარი“.

სამწუხაროდ, ბიონის კალმის მოდელმა ჩვენამდე არ მოაღწია.

1760 წელს ინგლისში გამოიცა ინგლისელი მწერლის სტერნის წიგნი „სენტიმენტალური მოგზაურობა“. ამ წიგნში ავტოკალამზეც არის ლაპარაკი: „...შემდეგ ჯიბიდან მუდმივი კალამი ამოვიღე და წერა დავიწყე“.

XIX საუკუნის დამდეგს უცნობმა ფრანგმა დურგალმა გამოიგონა დგუშიანი კალამი, რომელიც საექიმო შპრიცის პრინციპით მუშაობდა.

1809 წელს ინგლისელმა მეიროლმა მეფეს მიართვა „ავტომატურად ავსებული“ კალამი. მეიროლის განმარტებით, „საჭიროა ძლიერ მოვუჭიროთ რეზინის ბურთულას, რომლითაც მთავრდება მელნის რეზერვუარი (სათავსი), შემდეგ კალამი მელანში ჩავყოთ და ბურთულას ხელი გავუშვათ: კალამი ავტომატურად აივსება მელნით“.

მეიროლის ავტოკალამი თანდათანობით გააუმჯობესეს: ფოლადის წვერი ოქროს წვერით შეცვალეს. შემდგომში კალმის წვერად უფრო გამძლე ლითონის — ირიდიუმის გამოყენება დაიწყეს.

ჩვენს დროში ავტოკალამს საკმაო მეტოქეობას უწევს ბურთულიანი კალამი, რომელიც 1944 წელს გამოიგონეს.

## ცხოველის ძილი

ციურიხის ზოოპარკის დირექტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცხოველებს ადამიანებზე უკეთ სძინავთ, ცხოველთა უმრავლესობა დაძინებისას, მარტო თვალებს კი არა, ყურებსაც „ხუჭავს“. ასე იქცევიან ტყეთა ყველაზე მგრძნობიარე ბინადარნი, მაგალითად, სენეგალური გალაგო, ლამურები და სხვა. ისინი ძილის დროს ყურის ნიჟარებს ხურავენ.

ყველაზე ღრმად და ხანგრძლივად სძინავთ დიდ და ძლიერ მხეცებს, რომელთაც შიში არაფრისა აქვთ. მაგალითად, ცეილონისა და ინდოეთის დათვი საოცრად ღრმა ძილით გამოირჩევა. ეს დათვი ისეთი უბედური ხასიათისაა, რომ ვეფხვიც კი ერიდება. ჯოგად მცხოვრები ცხოველები, თუ საიმედო თავშესაფარი არ გააჩნიათ, ან სულ ფხიზლობენ, ანდა იშვიათად იძინებენ. იმავე მტაცებელ ცხოველებს კარგად აქვთ განვითარებული „ფილტრი“, რომელიც კარგად არჩევს გარე სამყაროდან მოსულ სახიფათო და არასახიფათო სიგნალებს.

მძინარე სპილო არასგზით არ გაიღვიძებს, თუ, მაგალითად, მეორე სპილომ თავზე დაადგა ფეხი, მაგრამ თვალის დახამხამებაში წამოიჭრება ზეზე, თუ ტყისთვის უჩვეულო, ლითონის ჟღარუნი ჩასწვდა ყურს.

## მსოფლიოს უდიდესი ქალაქები

დღეს დედამიწის ზურგზე 25 ქალაქია, რომელთა მოსახლეობა აღემატება 3 მილიონს. აი, ისინი (ციფრები დამრგვალებულია):

ტოკიო — 11,4 მილიონი; ნიუ-იორკი — 11,3; პარიზი — 9,3; ლონდონი — 7,9; მოსკოვი — 7,1; პეკინი — 7,0; ბუენოს-აირისი — 7,0; შანხაი — 7,0; ლოს-ანჯელოსი — 6,8; ჩიკაგო — 6,6; ბომბეი — 4,7; კალკუტა — 4,7; ფილადელფია — 4,6; კაირო — 4,2; ჯაკარტა — 4,1; სან-პაულუ — 4,1; ლენინგრადი — 4,0; დეტროიტი — 3,9; რიო-დე-ჟანეირო — 3,9; სეული — 3,8; მეხიკო — 3,2; ტიანძინი — 3,2; ბოსტონი — 3,1; ოსაკა — 3,1; მადრიდი — 3,0.



## გიბონი — ვოკალისტი

მაიმუნებს უყვართ სიმღერა. ამ ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ ორანგუტანგი თავისთვის რაღაცას ღიღინებს ხოლმე. აღმოჩნდა, რომ თურმე გიბონიც მღერის. მღერის და მერე როგორ! ფრანგმა მეცნიერებმა მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერეს მოზარდი და მოზრდილი გიბონების 90 სიმღერა. მათ სიმღერაში ადვილად გაარჩევ 10-დან 90-მდე „კუპლეტს". თითოეული კუპლეტი 2-4 ელემენტისაგან შედგება. მკვლევარების მტკიცებით, მოზარდი გიბონი უფრო „ცუდად" ფლობს თავის სასიმღერო ხმას, ვიდრე მოზრდილი მომღერალი. ცოლ-ქმარი გიბონების დუეტი ზოგჯერ 20 წუთს გრძელდება. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ასეთი სიმღერა რაღაცის ინფორმაციას წარმოადგენს.

## ფუტკარი თავის პა[illegible]

## არ ცნობს

გავრცელებულია შეხედულება, — ფუტკარი თავის პატრონს არ ერჩისო. სინამდვილეში, ფუტკარი ისევე ნესტრავს პატრონს, როგორც ვინმე სხვა ადამიანს. მაგრამ საქმე ის არის, რომ მეფუტკრემ კარგად იცის ფუტკრის „ხასიათი" და „ჩვევები". ფუტკრებთან ურთიერთობისას საშიშია მკვეთრი მოძრაობა, ეს მწერი ვერ იტანს ხმაურს, ყვირილს, ოფლის სუნს, შავი ფერი ეჭავრება. საინტერესოა შემდეგი ამბავიც: ფუტკრის ოჯახი დაუყოვნებლივ თავს ესხმის სკაში შემოფრენილ უცხო



ფუტკარს, თუ იგი ამ დროს „თავის ჭკუაზე" იქცევა. მაგრამ დაძინებულ სტუმარს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

## ბეწვის კატლეტი

ცხოველის ბეწვი თითქმის 100 პროცენტი ცილისაგან შედგება. ხომ არ არის შესაძლებელი, რომ მომავალში იგი კვების დამატებითი წყარო გახდეს? ახალზელანდიელმა მეცნიერებმა უკვე გამოიგონეს ისეთი ქიმიური ხერხი, რომლითაც შეიძლება ბეწვი საჭმელი ცილის ბოჭკოდ გადაიქცეს. თუმცა ამ ბოჭკოთი ჯერჯერობით მხოლოდ საცდელ ვირთაგვებს კვებავენ.

## კალიების ღრუბელი

ცნობილია, რომ ბევრი მწერისთვის დამახასიათებელია მიგრაცია — ერთობლივი ადგილგადანაცვლება დიდ მანძილზე. ამ დროს ისინი ერთ უზარმაზარ ღრუბლად შეიკვრებიან ხოლმე, რომლის წონაც თითქმის ფანტასტიკურია. აი, ერთი მ გალითი:



მოზრდილი კალია სამ გრამზე მეტს არც კი იწონის, მაგრამ კალიების ღრუბელი ზოგჯერ ათი ათას ტონაზე მძიმეა.

## რამდენი თვალი აქვს ადამიანს?

— აბა, ეს რა საკითხავია?! — იტყვით ალბათ — რა თქმა უნდა, ორი თვალი: მარჯვენა და მარცხენა.

მაგრამ ასე კია?..

თავიდანვე ბუნებამ ცოცხალ არსებებს იმდენი თვალი უწყალობა, რამდენიც სჭირდებოდათ. ბუნება „ითვალისწინებდა" იმას, თუ რანაირ ცხოვრებას ეწეოდა ცხოველი და რამდენად ჰქონდა განვითარებული მხედველობის ორგანო. რაც უფრო პრიმიტიულია თვალი, მით უფრო ბევრია იგი საჭირო.

ხერხემლიან ცხოველებს სამ-სამი თვალი „შეხვდათ". მეცნიერებს ხელთა აქვთ უტყუარი საბუთები — გიგანტური ხვლიკების ძვლების ნაშთები. ამ უძველესი ხანის ხერხემლიან არსებას თავის ქალის ზედა ნაწილში მესამე თვალიც ჰქონდა, ჩვეულებრივ თვალზე ოდნავ ნაკლები ზომისა. წყლიდან ამოყვინთვისას გიგანტურ ხვლიკს, ცხადია, შეეძლო იქაურობა ისე მოეთვალიერებინა, რომ თავისი თავი არ გამოეჩინა.

ოდესღაც სამი თვალი ჰქონდათ თევზებს, ამფიბიებს, ქვეწარმავლებს, ფრინველებს, ძუძუმწოვრებს.

სამი თვალი აქვს ადამიანსაც, ოღონდ მესამე თვალი უჩინარია და თვითონაც არაფერს არ ხედავს. იგი ამ ასიოდე წლის წინათ აღმოაჩინეს მეცნიერებმა თავის ტვინის მხედველობითი უჯრედების არეში. მესამე თვალს კოპისებური ჯირკვალი უწოდეს. ისევე, როგორც აპენდიქსი, ბრმა ნაწლავის რუდიმენტული წანაზარდი, კოპისებური ჯირკვალიც იმაზე მეტყველებს, რომ ცოცხალმა ორგანიზმებმა ევოლუციური განვითარების სხვადასხვა საფეხური გაიარეს.

მაინც, რატომ შემოინახა ევოლუციამ ეს ჯირკვალი და რა როლი დაეკისრა მას?

თურმე კოპისებური ჯირკვლის მიერ გამოყოფილი ნივთიერებები აქტიურად მონაწილეობენ მთელი ორგანიზმის მუშაობაში: იცავენ წყლისა და მარილების საჭირო რეჟიმს, აწონასწორებენ სისხლში შაქრის დონეს, გავლენას ახდენენ საჭმლის მონელებაზე, ადამიანის ფსიქიკაზე, თირკმლისზედა და ფარისებრი ჯირკვლების მუშაობაზე. როგორც ხედავთ, ყოფილი მხედველობის ორგანოს „მოღვაწეობის" სფერო ამჟამადაც საკმაოდ ფართოა.

## შუქი და მადა

ქალაქ დრეზდენში (გდრ) მომუშავე ექიმებმა დაამტკიცეს, რომ მწვანე შუქი ადამიანს მადას უღვიძებს. პირველი პრაქტიკული ცდა, რომელმაც ამ მტკიცების სისწორე დაადასტურა, მოსწავლეთა ერთ-ერთ ჯგუფში ჩატარდა. მეორედ კი საბავშვო ბაგის აღსაზრდელებში ჩაატარეს მსგავსი ექსპერიმენტი და მანაც დადებითი შედეგი აჩვენა.

გერმანელი ექიმები ირწმუნებიან, რომ



მწვანე შუქი მოზრდილ ადამიანებზეც კარგად მოქმედებს. იგი მადასაც აუმჯობესებს და ნერვულ სისტემასაც ამშვიდებს.

## ახალი წიგნები










### ყველაზე მთავარი

მიხეილ ზოშჩენკო

გამომცემლობა „ნაკადულმა“ სერიით — „ჩემი პატარა ბიბლიოთეკა“ გამოსცა ცნობილი რუსი მწერლის მიხეილ ზოშჩენკოს პატარა წიგნი. ზოშჩენკო ხშირად ბავშვებისთვისაც იცლიდა ხოლმე. მისი ერთი პატარა მოთხრობა პატარა ბიჭზე, მწითურ ანდრიუშაზეა დაწერილი. მას ყველაფრისა ეშინოდა: ძაღლების, ძროხების, ბიჭების, თაგვების, ობობებისა და მამლაყინწებისაც კი. ბიჭის დედა ძალიან დარდობდა: ასეთი მხდალი შვილი რადა მყავსო... დანარჩენი თვითონვე წაიკითხეთ.

### მე ის ზაფხული მახსოვს

დავით ასკურავა

„ნაკადულმა“ გამოსცა ახალგაზრდა პროზაიკოსის დავით ასკურავას წიგნი „მე ის ზაფხული მახსოვს“.

კრებულში შეტანილი რამდენიმე მოთხრობა ადრე ჩვენ ჟურნალში დაიბეჭდა.

ავტორი დიდი სითბოთი და სიყვარულით გვიხატავს თქვენი თანატოლების ცხოვრებას, ოცნებას და მისწრაფებებს, მათ საქმიანობას არდადეგების დროს.

### ზღაპრები და მოთხრობები

დ. მამინ-სიბირიაკი

მამინ-სიბირიაკის ეს პატარა მოთხრობები და ზღაპრები დიდებული იუმორითა და ხალისით არის სავსე. მისი ცხოველები და ფრინველები ადამიანებივით ლაპარაკობენ, მსჯელობენ, მაგრამ ყველას ახასიათებს თავიანთი ნიშანდობლივი თვისება.

ეს კრებული ქართულად მეორედ გამოდის. პირველი გამოცემა უმალ გაქრა წიგნის ბაზრიდან. წაიკითხეთ, ბავშვებო გრძელყურა, ელამი, კუდმოკლე, გულადი კურდღლის, გრძელცხვირა კოღო კოღოძის, ბანჯგვლიანი კუდმოკლე დათუჩას, შავთავა ყვავისა და ყვითელი ჩიტიუნიას, იადონის ზღაპრები და ძალზე ნასიამოვნები დარჩებით.

კასეტაზე დახვეულმა კინო — ფოტოფირმა თავისთავად იცის ამოხტომა და დაბურდვა. აიღე პერილონის ღრუბელა, კასეტის კედლებს შორის ჩაამაგრე და ფირი ველარ აიშვებს. (ასევე შეიძლება მაგნიტოფონის ლენტის „დაჭერაც“).



კორძებიანი ფიცარი გაშალაშინებამდე კარგა მაგრად უნდა დაჩეჩქვო ჩაქუჩით, შემდგომ, გაშალაშინება გაცილებით გაგიადვილდება.



ლითონის კბილანებიანი ლერძულას გადახერხვა ძნელია — ხერხი ხტის და კბილებს აზიანებს. ვიდრე ლერძულას გირაგში ჩაამაგრებდე, გადასაჭრელ ადგილას ქანჩი მოუჭირე და ხერხი აღარ იხტუნებს.



თევზის კონსერვს რომ გასაღები ახლავს, ეს გასაღები იოლად შეიძლება მახათად აქციო. ასეთი მახათი პირდაპირ მისწრება რამაა, ბრეზენტისა თუ სხვა სქელი ქსოვილის შესაკერავად.



თუ როგორ კეთდება ეს ნასკვები, ამის სიტყვიერად განმარტება ძალიან ძნელია, ამიტომ, მეტი გზა არ არის, ყურადღებით უნდა დააკვირდე ამ ნახაზს და იქნებ ასე ისწავლო ამ უბრალო და საიმედო ნასკვების გაკეთება.



ეს უბრალო ხელსაწყო დიდად დაგეხმარება დაფარული ელექტროგაყვანილობისათვის ღარის გასაჭრელად. აიღე 25-სანტიმეტრიანი ლითონის მილი. დაახლოებით შუაზე, სანახევროდ გადაქლიბე, გადაღუნე და საჭრელი პირი აულესე. მეორე ბოლოზე სახელური დაუგე. (თუ სურათმა ზუსტად ვერ მიგახვედრა, გაიხსენე დურგლების ძველი ხელსაწყო — „ორხელი“ ამასაც ის პრინციპი აქვს, ოღონდ ეს ცალი ხელისთვისაა).



# ეს ძალიან —
# გართობა-ვარჯიში

**სპორტი**

აქ მოყვანილი ვარჯიშები თითქმის ყველა ასაკის ბავშვს შეუძლია შეასრულოს. ხალისიანი ვარჯიშებია. მათი შესრულება არც გაგიძნელდებათ და გარდა ფიზიკური სიამოვნებისა, ხალისსაც შეგმატებთ, ოღონდ, ერთი რამ უნდა გახსოვდეთ მტკიცედ — აუცილებლად სუფთა ჰაერზე უნდა ივარჯიშოთ, მით უმეტეს სასარგებლოა, თუ გართობა-ვარჯიშები ბუნების წიაღში მოეწყობა.

1. ერთმანეთს ზურგით მიეყრდენით. იდაყვში მოხრილი მკლავები ერთმანეთს გადააჯაჭვეთ და ნახევარი ნაბიჯი წინ წადგით. ასე ჩაჯექით და ადექით რამოდენიმეჯერ. თუ ეს ვარჯიში იოლად შეასრულეთ, მერმე ცალ ფეხზე დადექით და ახლა ასე ჩაბუქნეთ. ცალი ფეხი გამართული უნდა გქონდეთ.

2. შემოხაზეთ 2-3 დიამეტრის წრე და შუაში ჩადექით. მოხარეთ მარჯვენა ფეხი და მარჯვენავე ხელით დაიჭირეთ. მეორე ხელი ზურგს უკან დამალეთ. ცალ ფეხზე იხტუნეთ და შეეცადეთ „მოწინააღმდეგე“ მხრის დარტყმით წრიდან გააგდოთ. ის, ვინც წრიდან გავარდება, ან თავს ვერ შეიკავებს და ორივე ფეხზე დადგება — წაგებულია.

3. თავშექცევით, ზურგზე დაწექით. ცალი ხელით ერთმანეთი შეამაგრეთ, ცალი ფეხი კი მაღლა ასწიეთ და ერთმანეთს მოსდეთ. შეეცადეთ, თქვენსკენ ან უკან გადახაროთ.



## ს ა ქ ი ე ბ ე ლ ი


ზ. ლეშქაშელი — კარგი ხარ, ბანაკო (ნარკვევი) . გარეკ. . 1
მ. გელოვანი — შავნაბადა (ბალადა) . . . . . . . . . 4
გ. ბუთხუზი — ჭავრია (მოთხრობა) . . . . . . . . . 7
ნ. ლალიძე — დავბრუნდებით (ლექსი) . . . . . . . . 8
დ. ივარდავა — ახალი ლექსები . . . . . . . . . . 10
უ. ზარეკიძე — ყურადღება, ფარდა! (ნარკვევი) . . . . . 11
მ. ჩხეტიანი — ახალი ლექსები . . . . . . . . . . 14
დ. ბადრიძე — დიდგორის ბრძოლა (წერილი) . . . . . . 14
ს. შამშრიანი — სტუმრად ვეტერანთან (ნარკვევი)— . . . . 18
ტ. კეკოტი — ერთი ბოთლი ვერცხლი (მოთხრობა. თარგმანი ნ. კენჭოშვილისა) . . . . . . . . . . . . . 20
ი. ჯანდიერი — გურჯაანის ტაძარი — (წერილი) . . . . 27
საინტერესო თემაზე . . . . . . . . . . . . . 29
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . . . . . . 30
ახალი წიგნები . . . . . . . . . . . . . . 31
გამოგადგება . . . . . . . . . . . . . . . 31
სპორტი . . . . . . . . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . . . . გარეკ. . . 4


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ აკაკი თევზაძეს.
გარეკანის მეოთხე გვერდზე — „ზაფხულია, ზაფხული!“ მხატვარი სპარტაკ ცინცაძე


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: შოთა გაგელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშქაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81
პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/VI-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VII-71 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 2281. ტირ. 124.065. უე 02110.

ფასი 20 კაპიკი


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

4. ერთმანეთის პირდაპირ დაჯექით. მუხლები ოდნავ მოხარეთ და ერთმანეთს ტერფები მიაჭირეთ. ხელში ჯოხი დაიჭირეთ და სცადეთ მოწინააღმდეგე თქვენსკენ გადმოსძლიოთ. თუ ჯოხი ხელიდან გაგივარდათ ესეც წაგება იქნება.

5. დადექი და ფეხების წინ ხაზი გაავლე. ჩაჯექი, ხელები ფეხის ცერებს ჩაავლე და ასე ცერებზე ხელჩავლებულმა ხაზზე გადახტომა - გადმოხტომა სცადე.

6. ფეხზე დადექი, თავი უკან გადასწიე და შუბლზე წყლით სავსე პლასტმასის ჭიქა დაიდგი, ისე რომ წყალი არ დაღვარო, სცადე დაჯდომა, დაწოლა და ადგომა.



## კ რ ო ს ვ ო რ დ ი





ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. სასმისი; 2. მხლებელთა ჯგუფი; 3. სამეურნეო იარაღი; 4. შინაური ცხოველი; 5. რკინიგზის სადგური დასავლეთ საქართველოში; 8. „ლაშარელას" ერთ-ერთი მთავარი გმირი; 9. კონტინენტი; 10. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 13. ყვავილი; 16. ქალაქი სსრკ-ში. 18. ქართული ხალხური ზღაპარი; 21. მწვერვალი კავკასიონზე; 22. ცურვის სახეობა; 23. დროშა, ანუ? 26. მცენარე; 27. ბუნების მოვლენა; 28. დიდი ქართველი მწერლის სახელი; 29. მდინარე სსრკ-ში.

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 6. შინაური ცხოველის დასაჭედი; 7. ჭრიალობა, ანუ? 8. ბარბაროსთა ბელადი; 9. უარყოფის ნაწილაკი; 10 ტროპიკული მცენარე; 11. ქართული ანბანის ასო; 12. გარეული ცხოველი; 13. რუსული კინოფილმი; 14. ძველი ბერძნული მითოლოგიური ღვთაება; 15. თვე; 16. ისტორიული ადგილი ლეჩხუმისა და სვანეთის საზღვარზე; 17. მცენარე; 19. ზეთის ნაყოფიანი მცენარე; 20. ცხენის სახელი „მთვარის მოტაცებაში"; 24. წარმოდგენა, ანუ? 25. ბავშვის საწოლი.

გელან შერგელაშვილი,
ზესტაფონის რაიონი,
ზოვრეთის საშ. სკოლის
IX კლასი.

## თავსატეხი

მოცემულია 16 კვადრატი. თითოეულ კვადრატში ჩასვით რიცხვები 1-დან 16-მდე, ისე, რომ ვერტიკალურად, ჰორიზონტალურად და დიაგონალურად მიიღოთ — 34.



დავით კოკაია,
თბილისის 22-ე საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე.

## პასუხები № 7-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კ რ ო ს ვ ო რ დ ი

ვერტიკალურად: 1. ბაბილონი; 2. კიუსიუ; 3. სოსანი; 4. მიუნჰენი; 7. ელიავა; 9. რუსთაველი; 11. მარტინიკა; 13. ირემი; 14. შველი; 18. ნიუკასლი; 21. ადამიანი; 22. კანონი; 23. ასირია; 17. შანხაი.

ჰორიზონტალურად: 5. სარდინია; 6. იორდანია; 8. იოსელიანი; 9. ურანი; 12. ენისეი; 14. შორენა; 15. საცერი; 16. იბერია; 19. ნიგერი; 20. ისინდი; 24. ტანგანიკა; 25. ალკამენე; 22. კენია; 26. ლისაბონი.

### თავსატეხი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 52 | 54 | 53 | 55 | 53 | 52 |
| 57 | 54 | 51 | 52 | 52 | 53 |
| 51 | 52 | 54 | 55 | 51 | 56 |
| 53 | 53 | 55 | 52 | 52 | 54 |
| 54 | 53 | 55 | 52 | 54 | 51 |
| 52 | 53 | 51 | 53 | 57 | 53 |

### გეოგრაფიული თავსატეხი

ბერლინი; ვენა; ბელგრადი; კოპენჰაგენი; ბრიუსელი; ამსტერდამი; ლუქსემბურგი; ათენი; ბერნი; ჰელსინკი; თეირანი; დელი; პეკინი; მეხიკო; ბუდაპეშტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76157